0.00037

0.00058

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2012 წლის 14 მარტს




გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ვადიმ მიტელუხიძე

ფინანსური დირექტორი
ედუარდ ოგანესიანი

შენიშვნები 6-46 გვერდებზე შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გასუფიქვლ ნაწილს.

სს „თელასი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში

შენიშვნა	2011	2010 გადაანგარიშებული	2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადაანგარიშებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	16	177,665	160,597
გადავადებული საგადასახადო აქტივები	15	–	1,417
არამატერიალური აქტივები	17	3,670	4,066
რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანება, გრძელვადიანი ნაწილი	18	5,416	4,909
სულ გრძელვადიანი აქტივები		186,751	170,989
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	20	13,129	12,345
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		–	2,726
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	18	33,945	33,345
გადახდილი ავანსები	19	4,302	6,824
ფულადი სახსრები შეზღუდული გამოყენებით		1,018	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21	21,252	15,244
სულ მიმდინარე აქტივები		73,646	70,484
სულ აქტივები		260,397	241,473
კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	22	81,148	81,148
აკუმულირებული ზარალი		(38,582)	(68,701)
სულ საკუთარი კაპიტალი		42,566	12,447
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტული სესხები და თამასუქები	23	91,523	66,440
რესტრუქტურირებული საგადასახადო ვალდებულებები	26	–	–
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	15	2,435	–
სახელმწიფო გრანტები	24	2,460	2,700
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		96,418	69,140
მიმდინარე ვალდებულებები			
პროცენტული სესხები და თამასუქები	23	2,274	11,207
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	25	93,366	125,209
მიღებული ავანსები		6,252	5,787
სახელმწიფო გრანტები	24	350	337
მოგების გადასახადის დავალიანება		6,037	–
სხვა საგადასახადო დავალიანება	26	12,297	16,677
ანარიცხები	11	837	669
სულ მიმდინარე ვალდებულებები		121,413	159,886
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		260,397	241,473

შენიშვნები 6-46 გვერდებზე შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თელასი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
ათას ლარში

	2011	2010
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები შესყიდულ ელექტროენერჯიაზე მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	297,579	278,681
თანამშრომლებისთვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები დღგ და სხვა გადასახადები, გადახდილი მოგების გადასახადის გარდა სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები	(162,266) (47,920) (42,826)	(104,249) (43,260) (41,673)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები	(24,139)	(26,131)
გადახდილი მოგების გადასახადი	20,428	63,368
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-	(4,128)
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	20,428	59,240
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შექმნა განთავსებული დეპოზიტი	(29,445)	(28,149)
ძირითადი საშუალებების გასხვისება	(290)	-
საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი	29	20
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	1,405	671
ფულადი სახსრების ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან	(28,301)	(27,458)
აღებული სესხები და თამასუქები სესხებისა და თამასუქების დაფარვა	43,285	-
გადახდილი პროცენტი	(24,420)	(13,176)
ფინანსური რესურსების მოსაზიდად გაღებული საკომისიო (შენიშვნა 23.დ)	(3,144)	(5,923)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(28)	(713)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	15,693	(19,812)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(1,812)	(386)
6,008		11,584
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში (შენიშვნა 21)	15,244	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს (შენიშვნა 21)	21,252	3,660
		15,244

ფინანსური და საინვესტიციო საქმიანობა, რომელსაც არ დასჭირდა ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების გამოყენება 2011 წელს იყო:

- 514 ლარის (2010 წ: 676 ლარი) ღირებულების დემონტირებული ძირითადი საშუალებების გადატანა ძირითადი საშუალებებიდან სასაქონლო მატერიალურ მარაგებში.
- 123 ლარის (2010 წ: 3,725) სამართლიანი ღირებულების ძირითადი საშუალებების გადმოცემა მთავრობისგან გრანტის სახით.
- 529 ლარის (2010 წ: 477 ლარი) სამართლიანი ღირებულების ძირითადი საშუალებების კლიენტების მიერ უსასყიდლოდ გადაცემა (შენიშვნა 9).

შენიშვნები 6-46 გვერდებზე შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თელასი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში

	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული დეფიციტი	სულ
2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წინა ანგარიშგების შესაბამისად	81,148	80,103	(188,972)	(27,721)
ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში (შენიშვნა 5)	-	(80,103)	70,639	(9,464)
წინა პერიოდის შეცდომების გასწორება (შენიშვნა 5)	-	-	2,457	2,457
1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	81,148	-	(115,876)	(34,728)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	47,175	47,175
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	81,148	-	(68,701)	12,447
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	30,119	30,119
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	81,148	-	(38,582)	42,566

შენიშვნები 6-46 გვერდებზე შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თელასი“

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „თელასი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. „კომპანიის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია ვანის ქ. 3, თბილისი 0154, საქართველო.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერჯის შესყიდვა და განაწილება საყოფაცხოვრებო და სამრეწველო სექტორების მომხმარებლებზე თბილისში. „კომპანია“ შედგება ერთი საოპერაციო სემენტისგან. „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახდენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

„კომპანიის“ აქციების საკონტროლო პაკეტს (75.00%) „Silk Road Holdings B.V“ ფლობს (შემდგომში „მშობელი კომპანია“), ხოლო მისი საბოლოო მშობელი კომპანიაა ღსს „INTER RAO UES“ (შემდგომში „საბოლოო მშობელი კომპანია“)

საქართველოს მთავრობა აქციების 24.53%-ს ფლობს საქართველოს სახელმწიფო საკუთრების მართვის სააგენტოს მეშვეობით, ხოლო დანარჩენი 0.47% კერძო პირების საკუთრებაშია.

მხარე, რომელიც აკონტროლებს ღსს „INTER RAO UES“-ს არის რუსეთის ფედერაციის მთავრობა.

2 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ზუღალოტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არა არის მითითებული.

3 ფუნქციონირებადი საწარმო

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 47,767 ლარით აჭარბებს. ამ ვალდებულებების უმრავლესობა არის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირების მიმართ (შენიშვნა 30). „კომპანიას“ მდებელი აქვს 2012 წლის 22 თებერვლით დათარიღებული წერილი "საბოლოო მშობელი კომპანიისგან", რომ იგი არ აპირებს და უზრუნველყოფს იმასაც, რომ არც თავისმა შვილობილმა კომპანიებმა არ მოითხოვონ მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა, თუ ასეთი გადახდები უარყოფითად აისახება „კომპანიის“ ფინანსურ სტაბილურობაზე. „კომპანიის“ მიმდინარე აქტივები მესამე მხარეების მიმართ 26,370 ლარით აჭარბებს მის მიმდინარე ვალდებულებებს მესამე მხარეების მიმართ. ხელმძღვანელობისთვის ცნობილი არაა სხვა რაიმე ფაქტორი, რამაც შეიძლება აღძრას ეჭვი ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მიზანშეწონილობის მიმართ და შესაბამისად წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს არსებობის დაშვების საფუძველზე.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

(ა) უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ ფუნქციონალური ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ის საქმიანობს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღრიცხულია ტრანზაქციის თარიღისათვის დადგენილი გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ა) უცხოური ვალუტა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა შეტანილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირველადი ღირებულებით ასახული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია თავდაპირველი ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლის კურსის შესაბამისად.

(ბ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცილებელი, „კომპანია“ ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ხდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში, როგორც ჩანაცვლების ღირებულება, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის შეფასება დასაბუთებულად შეიძლება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

(ii) ცვეთა

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობა-ნაგებობები	50 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	15-დან 30 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5-დან 15 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-დან 20 წლამდე

(iii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. „კომპანიის“ შიგნით გენერირებული არამატერიალური აქტივები, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ არის კაპიტალიზებული და ხარჯები აისახება იმ წლის სხვა სრულ შემოსავალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გასწია „კომპანიამ“.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება სასრულად და შეზღუდულია 4-5 წლამდე.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზირება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაიხინება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

„კომპანია“ არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(დ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

„ბასს“ 39 თანახმად, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან ეფექტური ჰეჯირებისათვის განკუთვნილი წარმოებული ფინანსური აქტივი. „კომპანია“ თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი ტრანზაქციის ხარჯები იმ თარიღისთვის, როდესაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც „კომპანია“ ფლობს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას (შენიშვნა 18), რესტრუქტურირებულ დებიტორულ დავალიანებას (შენიშვნა 18) და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს (შენიშვნა 21).

შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კლასიფიკაციაზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზირებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების/თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება, როგორც ფინანსური ხარჯი სესხების შემთხვევაში, და როგორც სხვა საოპერაციო ხარჯები - სხვა ფინანსური აქტივების შემთხვევაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება სახელშეკრულებო უფლებები აქტივიდან მიღებული ფულადი სახსრების ნაკადზე, ან იგი, ხელშეკრულების საფუძველზე, გადასცემს უფლებებს ფინანსური აქტივიდან შემოსული ფულადი სახსრების მიღებაზე გარიგების თანახმად, რომლის მიხედვითაც არსებითად ხორციელდება ასეთი ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც შექმნა ან შეინარჩუნა „კომპანია“ უნდა აღიარდეს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება

ვადაგადაცილებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღების ხელშესაწყობად „კომპანია“ პერიოდულად დებს ხელშეკრულებებს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების რესტრუქტურირების მიზნით, პორციების სახით, რომელიც მომხმარებლებმა უნდა გადაიხადონ ყოველთვიურად. „კომპანია“ რესტრუქტურირებულ დებიტორულ დავალიანებას არ არიცხავს პროცენტს; შესაბამისად, იგი რესტრუქტურირების შედეგად მიღებული ზარალის ასახვას ახორციელებს იმ თანხის სახით, რომელიც რესტრუქტურირების მიზნით ვადაგასული დებიტორული დავალიანების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და რესტრუქტურირების თარიღით მის სამართლიან ღირებულებას შორის არსებული განსხვავების ტოლია. რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მსგავსი სესხებისათვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, „კომპანია“ აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“), და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა ზეგავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ მომავალ ნაკადებზე, რომელთა შეფასება დასაბუთებულად არის შესაძლებელი.

გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4 საადრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

„კომპანია“ ინდივიდუალურად აფასებს თავისი თითოეული ფინანსური აქტივის გაუფასურებას.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფულადი სახსრების მომავალი შეფასებული ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ფულადი სახსრების მომავალი შეფასებული ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი კვლავც ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას იმ განაკვეთით, რომელიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გაუფასურების შედეგად განცდილი ზარალის შეფასების მიზნით. საპროცენტო შემოსავალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. სესხები და მისაღები ანგარიშები, მასთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს და ყველა უზრუნველყოფის საგანი რეალიზებულია ან გადაცემულია „კომპანიისთვის“. თუ მომდევნო წელს გაუფასურების შედეგად განცდილი სავარაუდო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარი შემთხვევის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების შედეგად განცდილი ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის დაკორექტირებით. თუ სამომავლო ჩამოწერის ამოღება მოხერხდება, იგი გატარდება სრული შემოსავლის ანგარიშგების ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ნაწილის კრედიტში.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის შესაბამისად ასახულია მოგებასა და ზარალში და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით ფინანსური ვალდებულებების, სესხების და გადასახდელი ანგარიშების სახით, ან როგორც წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს თავდაპირველი აღიარების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემთხვევაში, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. ამას ემატება გარიგებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს: სესხებსა და თამასუქებს, სვაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას. სვაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება ასევე მოიცავს კრედიტორულ დავალიანებას ჩართული წარმოებული ინსტრუმენტებით, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება.

შემდგომი შეფასება

სესხები და გადასახდელი ანგარიშები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იმ კრედიტებისა და მისაღები ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულების შესაბამისად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხორციელდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზირებული ღირებულების გამოანგარიშების დროს გასათვალისწინებელია ნებისმიერი დისკონტი ან შესყიდვის პრემია, აგრეთვე საზღაურები და ხარჯები, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაცია შედის ფინანსურ საქმიანობაზე გაწეულ ხარჯებში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები

მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებას ჩართული წარმოებული ინსტრუმენტებით. ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის ფარგლებში „კომპანია“ დროდადრო აფორმებს ხელშეკრულებებს, რომლის მიხედვითაც სავალდებულო ან შესაძლებელია მომავალში გარკვეული ოდენობის ელექტროენერჯის მიწოდება წინასწარ განსაზღვრულ ფასად. რადგანაც „კომპანიას“ არ შეუძლია ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება დასაბუთებულად განსაზღვროს იმის გამო, რომ იგი ელექტროენერჯის სამომავლო ღირებულებაზე დამოკიდებულია, რომლის დადგენაც საქართველოში ელექტროენერჯის თავისუფალი ბაზრის არარსებობის გამო შეუძლებელია. ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის შემცველი მთლიანი ინსტრუმენტი ფასდება სამართლიანი ღირებულებით და აისახება მოგებასა და ზარალში.

ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის მქონე სავაჭრო კრედიტორული დავალიანების შედეგად მიღებული მოგების ან ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან ისეთი მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება სრულყოფილი შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება თანხების ჩათვლისა და განზრახული აქვს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა ან ერთდროულად აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

(iv) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

„კომპანია“ არ ფლობს ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც მიმოქცევაშია აქტიურ ბაზრებზე. ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც აქტიურ ბაზარზე ბრუნვაში არაა, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. ასეთი მეთოდები შეიძლება ეფუძნებოდეს სამართლიანი პირობებით ადრეულ წარსულში შემდგარ საბაზრო გარიგებებს, არსებითად ანალოგიური სხვა ინსტრუმენტის მიმდინარე სამართლიანი ღირებულების გამოყენებას, დისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზს ან შეფასების სხვა მოდელებს. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ანალიზი და დამატებითი დეტალები მათი შეფასების მეთოდების შესახებ მოცემულია 28-ე შენიშვნაში.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

ისეთი აქტივის შემენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საშუალოდ 6 თვე სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხის მიღების ყველა დანარჩენი ხარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

(ზ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის „კომპანია“ აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში „კომპანია“ განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივისგან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოკიდებულია სხვა აქტივებისგან ან აქტივების ჯგუფისგან შემოდინებულ ფულად სახსრებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებლად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოფიციენტებით ან სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

„კომპანია“ გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაუფასურებელი აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის ფასდება არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ გაუფასურებით გამოწვეული უკვე აღიარებული ზარალი შეიძლება აღარ არსებობდეს, ან შემცირებული იყოს. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, „კომპანია“ აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების მაგნერირებელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის აღდგენა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შენდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. აღდგენის შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

(თ) გადასახადები

(i) მიმდინარე მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას, რომლითაც იბეგრება მიმდინარე პერიოდის მოგება. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება საგადასახადო განაკვეთები და კანონები, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების თარიღისთვის.

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ii) გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ დროებით სხვაობებზე აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და საბალანსო ღირებულებებს შორის.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღიარება ხდება ყველა დაბეგვრადი დროებითი სხვაობის შემთხვევაში, გარდა შემდეგისა:

- ▶ როდესაც გადავადებული საგადასახადო ვალდებულება წარმოიშობა გუდვილის, აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას ისეთ გარიგებაში, რომელიც არ წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებას და გარიგების დროისათვის არ ახდენს გავლენას არც სააღრიცხვო მოგებაზე და არც დასაბეგრ მოგება-ზარალზე.
- ▶ შვილობილ, მეკავშირე კომპანიებში და ერთობლივ საწარმოში წილობრივ მონაწილეობაში დაბანდებულ ინვესტიციებთან დაკავშირებული დროებითი დასაბეგრი სხვაობების შემთხვევაში, როდესაც ამ დროებითი სხვაობების აღდგენის დროის კონტროლი შეიძლება და შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში დროებითი განსხვავებების აღდგენა არ მოხდეს.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ყველა გამოსაქვითი დროებითი სხვაობის, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდზე გადატანილი გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც გამოიქვითება დროებითი სხვაობები და მომდევნო საანგარიშგებო პერიოდზე გადატანილი გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა:

- ▶ თუ გამოქვითვად დროებით სხვაობებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივი წარმოიშობა აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას ისეთ გარიგებაში, რომელიც არ წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებას და გარიგების დროისათვის არ ახდენს გავლენას არც სააღრიცხვო მოგებაზე და არც დასაბეგრ მოგება-ზარალზე.
- ▶ შვილობილ, მეკავშირე კომპანიებში და ერთობლივ საწარმოში წილობრივ მონაწილეობაში დაბანდებულ ინვესტიციებთან დაკავშირებული გამოქვითვადი დროებითი სხვაობების შემთხვევაში, გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობები აღდგება ახლო მომავალში და მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც გამოიქვითება დროებითი სხვაობები.

გადავადებული საგადასახადო აქტივები, რომლებიც არაა აღიარებული, გადაფასდება ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და მათი აღიარება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია სამომავლო დასაბეგრი მოგების მიღება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება გადავადებული საგადასახადო აქტივების ამოღება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთით, რომელიც სავარაუდოდ იმოქმედებს აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტუმრების წელს, იმ საგადასახადო განაკვეთების (და საგადასახადო კანონების) საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების თარიღისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები დაექვემდებარება ურთიერთჩათვლას თუ არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივების და მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჩათვლის კანონით მინიჭებული უფლება.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(თ) გადასახადები (გაგრძელება)

(iii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებითი ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებითი ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახადელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში. გარკვეული დამატებითი ღირებულების გადასახადის თანხა, რომელიც წარმოიშვა 2006 წლამდე, მხოლოდ მაშინ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას თუ მიიღება ან ჩამოიწერება შესაბამისი დებიტორული დავალიანება. ასეთი დამატებითი ღირებულების გადასახადი აღიარდება, როგორც გადავადებული დამატებითი ღირებულების გადასახადი ნომინალური გადასახადელი ოდენობით.

(კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანაზრებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

(ლ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად „კომპანია“ დღეისათვის აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც დასაბუთებულად შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხის განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება ფინანსურ ხარჯად.

(მ) შემოსავლები

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც „კომპანიაში“ ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. „კომპანია“ შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალ თუ პრინციპალის აგენტ მხარედ გამოდის. „კომპანია“ დაასკვნა, რომ იგი მოქმედებს პრინციპალის სახით შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა შეთანხმებაში. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები.

(ი) ელექტროენერჯის გაყიდვა

ელექტროენერჯის გაყიდვის აღიარება ხდება საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო სექტორების მომხმარებელთა მიერ ელექტროენერჯის მრიცხველით აღრიცხული მოხმარების საფუძველზე.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(მ) შემოსავლები (გაგრძელება)

მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, ანგარიშგების ნებისმიერი თარიღისათვის „კომპანიას“ გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის ელექტროენერგია, რომელიც რეალურად მოხდა, მაგრამ რომლისთვისაც ჯერ არ არის წარდგენილი ანგარიშები მომხმარებლებზე. შემოსავლების გამოანგარიშება, რომლებზეც ჯერ არ არის წარდგენილი ანგარიშები, დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ თარიღამდე მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობასთან, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მის განაწილებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური დანაკარგების შეფასებასთან ანგარიშგების თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ და შეფასებულ შემოსავლებს შორის უმნიშვნელოა.

(ii) მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც მომსახურება გაწეულია, ხოლო ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია. სხვადასხვა სახის მომსახურება, რომელსაც „კომპანია“ უზრუნველყოფს თავისი მომხმარებლებისათვის, დეტალურად განხილულია შენიშვნებში 8 და 9.

(iii) საპროცენტო შემოსავალი

ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის, რომელიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, პროცენტებიდან მიღებული შემოსავლების ან ხარჯების აღრიცხვა ხორციელდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (EIR), რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო არსებობის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შედის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

(iv) მომხმარებლებისგან მიღებული აქტივები

როდესაც „კომპანიას“ მომხმარებელი გადასცემს ძირითადი საშუალებების ობიექტს, თავდაპირველად „კომპანია“ ახორციელებს შეფასებას იმისა აკმაყოფილებს თუ არა ობიექტი აქტივის განსაზღვრებას. თუ „კომპანია“ დაასკვნის, რომ აქტივის განსაზღვრება დაკმაყოფილებულია, იგი აღიარებს გადაცემულ აქტივს ძირითადი საშუალებების ობიექტის სახით. თავდაპირველი აღიარების დროს მისი ღირებულების შეფასება ხორციელდება აქტივის სამართლიანი ღირებულების თანახმად.

“ფაისკ“ 18 „მომხმარებლების მიერ აქტივების გადაცემის“ შესაბამისად, ასეთი ტრანზაქცია განიხილება ტრანზაქციად, რომელიც წარმოქმნის შემოსავლებს. თავდაპირველად, „კომპანია“ განსაზღვრავს მიღებული აქტივის სანაცვლოდ გაწეული მომსახურების სახეობას, შემდეგ მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სრული ოდენობის სამართლიან ღირებულებას, ამის შემდეგ კი გამოიყენება შემოსავლების აღიარების კრიტერიუმები მომსახურების თითოეული სახეობისათვის.

(ნ) სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სათანადო საფუძველი ვარაუდისა, რომ ასეთი გრანტი მიღებული იქნება. იმ შემთხვევაში, როდესაც გრანტების მიღება დაკავშირებულია გარკვეულ პირობებთან, მისი აღიარება ხორციელდება, ასეთი პირობების დაკმაყოფილების გარანტიის არსებობის შემთხვევაში. როდესაც გრანტი შეეხება ხარჯების მუხლს, მისი აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა გრანტის სისტემატური მისადაგებისთვის იმ ხარჯებთან, რომელთა ასანაზღაურებლად არის განკუთვნილი. როდესაც გრანტი შეეხება აქტივს, მისი აღიარება ხორციელდება გადავადებული შემოსავლის სახით და აისახება შემოსავლებში თანაბარი რაოდენობებით შესაბამისი აქტივის სავარაუდო სასარგებლო გამოყენების განმავლობაში.

როდესაც „კომპანია“ იღებს არაფულად გრანტს, ეს აქტივი და გრანტი აისახება მიღებული არაფულადი აქტივების მთლიანი სამართლიანი ღირებულებით.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5 შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება, ნებაყოფლობითი ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და გასული პერიოდის შეცდომების გამოსწორება

2011 წლის ბოლოსთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში „კომპანია“ ნებაყოფლობით შეცვალა ძირითადი საშუალებების სააღრიცხვო პოლიტიკა და გადაფასების მოდელიდან თვითღირებულების მოდელზე გადავიდა. ხელმძღვანელობის აზრით ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა უფრო აქტუალურია, რადგან იგი კომპანიის სხვა მსგავს კომპანიებთან უფრო იოლად შედარების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, „კომპანია“ წინა პერიოდის ფინანსურ ინფორმაციაში გარკვეული შეცდომები აღმოაჩინა. სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილება და წინა პერიოდის შეცდომების გასწორება მოხდა შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და სადაც ისინი წინა პერიოდებს ეხება, აქტივების, ვალდებულებების და აკუმულირებული ზარალის ნაშთების გადაანგარიშებით 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

(i) სააღრიცხვო პოლიტიკაში ნებაყოფლობითი ცვლილების აღიარება მოხდა რეტროსპექტულად „ბასს“ 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებსა და შეცდომების“ შესაბამისად, რის შედეგადაც მოხდა გასული წლის ფინანსური ინფორმაციის, ასევე 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაცხადებული აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის გადაანგარიშება

სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობით შეცვლის შედეგად ფინანსური ანგარიშგება შემდეგნაირად დაკორექტირდა:

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:
ძირითადი საშუალებების შემცირება: 10,496 ლარით
გადავადებული საგადასახადო აქტივების გაზრდა: 1,696 ლარით
გადაფასების რეზერვის შემცირება: 80,103 ლარით
აკუმულირებული ზარალის შემცირება: 70,639 ლარით
სხვა საგადასახადო დავალიანების გაზრდა: 585 ლარით
წინასწარი გადახდების შემცირება: 79 ლარით

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
ძირითადი საშუალებების შემცირება: 8,830 ლარით
გადავადებული საგადასახადო აქტივების გაზრდა: 1,511 ლარით
გადახდელი ავანსების შემცირება: 1,013 ლარით
გადაფასების რეზერვის შემცირება: 79,384 ლარით
აკუმულირებული ზარალის შემცირება: 71,052 ლარით

სხვა შემოსავლის გაზრდა: 125 ლარით
ცვეთისა და ამორტიზაციის შემცირება: 1,529 ლარით
სხვა საოპერაციო ხარჯების გაზრდა: 172 ლარით
სხვა გადასახადების, მოგების გადასახადის გარდა, გაზრდა: 349 ლარით

(ii) „კომპანია“ გასწორა წინა პერიოდის მოგების გადასახადის დეკლარაციები და ექსპლუატაციაში შესული ძირითადი საშუალებები გამოიქვეთა ისტორიული ღირებულებით, როგორც ნებადართულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიერ. „კომპანია“ მოგების გადასახადის დათვლის მიზნისთვის ექსპლუატაციაში შესულ ძირითად საშუალებებს იქვეთავდა გადაფასებული ღირებულებით, ვინაიდან არ მოიპოვებოდა ინფორმაცია ამ აქტივების ისტორიული ღირებულების შესახებ. ეს გამოსწორდა 31 დეკემბრით დასრულებული 2011 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით, შემდეგნაირად:

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:
აკუმულირებული ზარალის შემცირება: 2,035 ლარით
გადახდილი ავანსების გაზრდა: 2,035 ლარით

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
აკუმულირებული ზარალის შემცირება: 2,991 ლარით
გადახდილი ავანსების გაზრდა: 2,991 ლარით
მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება: 956 ლარით

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

- 5 შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება, ნებაყოფლობითი ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და გასული პერიოდის შეცდომების გამოსწორება (გაგრძელება)
- (iii) „კომპანია“ არასწორად აღიარა სახელმწიფო გრანტებიდან მიღებული შემოსავალი აქტივების მიღების პერიოდში, ნაცვლად იმისა, რომ ის სისტემატურად ეღიარებინა იმ პერიოდებში, როდესაც „კომპანია“ აღიარა მასთან დაკავშირებული ხარჯი, რისთვისაც გრანტები იქნა მიღებული. ეს შეცდომა გამოსწორდა 31 დეკემბრით დასრულებული 2011 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში შემდეგი კორექტივები შევიდა:
- 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
გრძელვადიანი სახელმწიფო გრანტების გაზრდა: 2,700 ლარით
სახელმწიფო გრანტების მიმდინარე ნაწილის გაზრდა: 337 ლარით
სხვა შემოსავლის შემცირება: 3,037 ლარით
გადავადებული საგადასახადო აქტივების გაზრდა: 506 ლარით
მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება: 506 ლარით
- ამ შეცდომის გასწორება გავლენას არ ახდენს 31 დეკემბრით დასრულებული 2009 წლის და მის წინა ანგარიშგების პერიოდებზე.
- (iv) „კომპანია“ არასწორად გამოითვალა 2009 წლის მოგების გადასახადი. ამის გამო მოგების გადასახადი და მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება 2009 წლის 31 დეკემბრისთვის 328 ლარით ნაკლები იყო. ეს შეცდომა გამოსწორდა 31 დეკემბრით დასრულებული 2011 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით და ამან განაპირობა 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აკუმულირებული ზარალის 328 ლარით გაზრდა.
- (v) 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითად საშუალებებზე წინასწარი გადახდების რეზერვი 1 202 ლარის ოდენობით შეტანილი იქნა სხვა დებიტორულ დავალიანებაში, ხოლო თავად წინასწარი გადახდები შევიდა ძირითად საშუალებებში. 31 დეკემბრით დასრულებული 2011 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული შესადარისი ინფორმაციის მიხედვით „კომპანია“ მოახდინა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებიდან შესაბამისი რეზერვის რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში.
- (vi) „კომპანია“ არასწორად აღრიცხა 2009 წელს გადასახადებლ ქონების გადასახადთან დაკავშირებული 750 ლარის ოდენობის გამოსაქვითი ხარჯები, როგორც 2010 წელს გადასახადელი ქონების გადასახადის შემცირება. ამ შეცდომის შედეგად სხვა საგადასახადო დავალიანება და აკუმულირებული ზარალი 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაჭარბებული იყო, ხოლო 31 დეკემბრით დასრულებული 2010 წლის გადასახადი, მოგების გადასახადის გამოკლებით, ნაკლები თანხით იყო გაცხადებული. „კომპანია“ ეს შეცდომა გამოსწორა 31 დეკემბრით დასრულებული 2011 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით.
- (vii) წინა ანგარიშგების პერიოდებში „კომპანია“ გარკვეული არაფინანსური გადახდილი ავანსები 6,634 ლარის ოდენობით 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: 4,527 ლარი) გააერთიანა სხვა დებიტორულ დავალიანებასთან 476 ლარის ოდენობით 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: 4,727 ლარი), საერთო სათაურის ქვეშ „წინასწარი გადახდები და სხვა დებიტორული დავალიანება“. 31 დეკემბრით დასრულებული 2011 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „კომპანია“ არაფინანსური წინასწარი გადახდები და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება ცალ-ცალკე წარმოადგინა შესაბამისი სათაურების ქვეშ.
- (viii) 2011 წელს „კომპანია“ 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული GEL 5,787 ლარის ოდენობის ავანსები (2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: 5,152 ლარი) ამოიღო სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანების ნაწილიდან, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ცალკე მუხლად წარმოადგინა და შესაბამისი შესადარისი ინფორმაცია გადაიანგარიშა.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

- 5 შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება, ნებაყოფლობითი ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და გასული პერიოდის შეცდომების გამოსწორება (გაგრძელება)
- (ix) 31 დეკემბრით დასრულებული 2011 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „კომპანია“ გადაანგარიშა 2010 წლის შესადარისი ინფორმაცია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ანარიცხებისა და გაუფასურების რეზერვის მოძრაობის მუხლიდან კრედიტორული დავალიანების ჩამოწერების შედეგად მიღებული 1,477 ლარის მოგების რეკლასიფიკაციით სხვა შემოსავლების მუხლში.

6 ცვლილებები სტანდარტებში

(ა) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება წინა ფინანსური წლის პოლიტიკას გარდა შემდეგი ახალი და შეცვლილი „ფასს“ და „ფაისკ“ ინტერპრეტაციებისა, რომლებიც 2011 წლის განმავლობაში შევიდა ძალაში:

- ▶ შესწორებული „ბასს“ 24 დაკავშირებული მხარეების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება (2010)
- ▶ ცვლილებები „ბასს“ 32-ში ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა – უფლებების ემისიის კლასიფიკაცია
- ▶ შესწორებული „ფასს“ 7 ინფორმაციის გამჟღავნება – ფინანსური აქტივების გადაცემა
- ▶ ცვლილებები „ფასს“ 14: „ბასს“ 19-ში – შეზღუდვები ფიქსირებულ საპენსიო აქტივებზე, დაფინანსების მინიმალური მოთხოვნები
- ▶ „ფაისკ“ 19 ფინანსური ვალდებულებების დაფარვა წილობრივი ინსტრუმენტებით

ზემოთ წარმოდგენილი ახალი და შეცვლილი „ფასს“ და „ფაისკ“ -ის მიღებას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ფინანსურ ანგარიშგებაზე

(ბ) გამოცემული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ არ არის ძალაში შესული „კომპანიის“ მიერ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, განხილულია ქვემოთ. ეს იმ გამოცემული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების სიაა, რომლებიც „კომპანიის“ საფუძვლიანი მოსაზრებით მომავალში გამოიყენება და რომლებიც გავლენას მოახდენს „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

„ბასს“ 1 ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა – სხვა სრული შემოსავლის მუხლების წარმოდგენა

„ბასს“ 1-ში შესული შესწორებები სხვაგვარად აჯგუფებს სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წარმოდგენილ მუხლებს. მუხლები, რომელთა მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიკაციაც შესაძლებელია მომავალში (მაგალითად, აღიარების შეწყვეტის ან დაფარვის შემთხვევაში) წარმოდგენილი იქნება განცალკევებით იმ მუხლებისგან, რომელთა რეკლასიფიკაციაც არასდროს მოხდება. ეს ცვლილება მხოლოდ წარმოდგენაზე მოქმედებს და „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე ან შედეგებზე არ აისახება. ცვლილება ძალში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც 2012 წლის 1 ივლისს ან უფრო გვიან იწყება.

„ფასს“ 9 ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და შეფასება

„ფასს“ 9 გამოცემული სახით ასახავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გაწეულ მუშაობას „ბასს“ 39-ის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით და შეეხება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებას „ბასს“ 39-ის მიხედვით. სტანდარტი ძალაში შედის წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2013 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. შემდეგ ეტაპებზე IASB მიმართავს ჰეჯირების აღრიცხვას და ფინანსური აქტივების გაუფასურებას. ამ პროექტის დასრულება მოსალოდნელია 2012 წლის განმავლობაში. „ფასს“ 9-ის პირველი ეტაპის გამოყენება ზემოქმედებას მოახდენს „კომპანიის“ ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ სავარაუდოდ გავლენას არ მოახდენს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე. „კომპანია“ მის გავლენას სხვა ეტაპებთან ერთად შეაფასებს მათი გამოცემის შემდეგ, სრულყოფილი სურათის მიღების მიზნით.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6 გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

(ბ) გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და მათი ინტერპრეტაცია (გაგრძელება)

ცვლილებები იქნა შეტანილი სხვადასხვა სტანდარტში მათი გაუმჯობესების მიზნით. ყოველგვარი გადასინჯვა, რომელიც წარმოდგენის, აღიარების და შეფასების მიზნებისთვის სააღრიცხვო ცვლილებებს გამოიწვევს ძალაში შევა არაუადრეს 2013 წლის 1 იანვრისა. „კომპანიას“ ჯერ არ გაუანალიზებია, რა გავლენა ექნება ამ შესწორებებს მის ფინანსურ მდგომარეობაზე თუ შედეგებზე.

7 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების არღიციხულ ოდენობებზე, პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. ამასთან, ამ დაშვებებსა და მოსაზრებებში არსებულმა განუსაზღვრელობებმა შეიძლება მომავალ პერიოდებში გამოიწვიოს აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების აუცილებლობა.

(ა) მოსაზრებები

„კომპანიის“ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში, ხელმძღვანელობამ გააკეთა შემდეგი მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე:

(i) „კომპანიის“ საგადასახადო პოზიციის სიმყარე

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა ფორმირების პროცესშია. კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა ხშირია, ხოლო მრავალი დებულება სხვადასხვა ინტერპრეტაციის საგანი ხდება. მოქმედ და ძველ საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ორაზროვნების გამო, ხელმძღვანელობის აზრით, არსებობს გარკვეული სფეროები, რომლებიც შეიძლება სადავო გახდეს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მისი პოზიცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მყარია, ამიტომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული რაიმე დამატებითი საგადასახადო ანარიცხი (შენიშვნა 29).

ხელმძღვანელობა „კომპანიის“ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის. ვალდებულებების აღიარება ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხელმძღვანელობის შეფასებით დამატებითი გადასახადის გადახდის ალბათობა მაღალია.

(ii) იმ მომსახურების იდენტიფიკაცია, რომელიც გაწეულ იქნა მომხმარებლებისაგან მიღებული აქტივების სანაცვლოდ

„კომპანია“ თავისი მომხმარებლებისგან იღებს ძირითადი საშუალებების ობიექტებს, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს აღნიშნული მომხმარებლების ქსელთან მისაერთებლად, აგრეთვე მათთვის ელექტროენერჯის მისაწოდებლად. „კომპანიამ“ უნდა შეიმუშაოს მიდგომა მიღებული აქტივების სანაცვლოდ მომხმარებლებისათვის გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით. ყველა ფაქტისა და გარემოების ანალიზის შემდეგ, „კომპანია“ დარწმუნებულია, რომ მომხმარებელთათვის გაწეული მომსახურება მათ მიერ გადმოცემული აქტივების სანაცვლოდ მთლიანად დაკავშირებულია მიერთებასთან და, შესაბამისად, მათი აღიარება ხდება „კომპანიისათვის“ აქტივების გადაცემის და მომხმარებლის ქსელთან მიერთების დასრულების შემდეგ. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიდგომას მნიშვნელოვანი ზემოქმედება აქვს შემოსავლების ასახვის დროზე. 2011 წელს მომხმარებელთა მიერ გადმოცემული აქტივებიდან აღიარებულმა შემოსავლებმა შეადგინა 529 ლარი (2010 წ: 477 ლარი) (შენიშვნა 9).

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ა) მოსაზრებები (გაგრძელება)

(iii) სახელმწიფო გრანტების აღიარება

„კომპანია“ სახელმწიფო გრანტებს სხვადასხვა ფორმით იღებს. გრანტების უმრავლესობას ისეთი არაფულადი აქტივის გადაცემის სახე აქვს, როგორცაა მიწა და ელექტროგადამცემი მოწყობილობა. გადაცემას, როგორც წესი, გარკვეული პირობებიც ახლავს თან, ძირითადად „კომპანიის“ მიერ დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნასთან ან გადაცემული აქტივების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით (შენიშვნები 24 და 29). „კომპანიას“ ასევე აქვს სახელმწიფოსგან ნაპატიები დავალიანება, რომელიც ასევე სახელმწიფო გრანტად ითვლება, რადგანაც პატიება გულისხმობს „კომპანიის“ ვალდებულებას, განავითაროს ინფრასტრუქტურა (შენიშვნები 11 და 25).

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გადაწყვეტილებების მიღებას იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა „კომპანიას“ მათი თანმდევი პირობების დაკმაყოფილება. ამ გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს გრანტებთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარებასა და აღიარების დროზე.

(ბ) შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. „კომპანიამ“ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება „კომპანიის“ კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება დადგომისდა მიხედვით.

(i) არაფინანსური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე

„კომპანია“ ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოს ადგენს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები და ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეაფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. ხელმძღვანელობის აზრით 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არსებობს გაუფასურების ნიშნები, რომელთა მიხედვითაც „კომპანიის“ აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება შეიძლება მათ საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები იყოს (შენიშვნა 16).

(ii) პროცენტიან სესხებთან დაკავშირებული სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება

23-ე შენიშვნის განმარტების მიხედვით, გარკვეული პროცენტიანი სესხების დაფარვის გრაფიკები დამოკიდებულია „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე, ხელმისაწვდომ ფულად ნაკადებზე და ხელმძღვანელობის გეგმებზე. ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს ფულადი სახსრების სამომავლო ნაკადებს, და სწორედ ამ შეფასებას ეყრდნობა პროცენტიანი სესხის დაფარვის გრაფიკი. თუ რეალური დაფარვები ხელმძღვანელობის პროგნოზისგან განსხვავებით წარიმართება, ამან შეიძლება არსებითად იმოქმედოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული პროცენტიანი სესხების ამორტიზებულ ღირებულებაზე.

(iii) მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვი

„კომპანია“ თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ასეთი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

ხელმძღვანელობის შეფასებით 103,691 ლარის (2010: 111,125 ლარი) ოდენობის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება ყველაზე მეტი სიზუსტით ასახავს დებიტორული დავალიანების გაუფასურებით გამოწვეულ შესაძლო დანაკარგებს (შენიშვნა 18).

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ბ) შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(iv) რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანების ამოღების ხელშესაწყობად „კომპანია“ დროდადრო აფორმებს ხელშეკრულებებს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების რესტრუქტურირების მიზნით, რომლის მიხედვითაც მომხმარებლები დავალიანებას ნაწილ-ნაწილ, ყოველთვიური შენატანების სახით გადაიხდიან. „კომპანია“ რესტრუქტურირებულ სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას რესტრუქტურირების დღეს აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რომელიც მიიღება მოსალოდნელი ყოველთვიური ფულადი ნაკადის შემოდინებების დისკონტირებით იმ პერიოდში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საშუალო საბაზრო განაკვეთის გამოყენებით (საქართველოს ეროვნული ბანკის პერიოდული ბიულეტენის მიხედვით). პროცენტის საბაზრო განაკვეთი და მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დიდ გავლენას ახდენს რესტრუქტურირების დღეს ამ დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაზე (შენიშვნა 18).

(v) ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ვერ მიიღება აქტიური ბაზრებიდან, მათი სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების მეთოდების გამოყენებით, მათ შორის დისკონტირებული ფულადი ნაკადებისა და ყველაზე მოსალოდნელი შედეგის მეთოდებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება. შეფასებისას ხდება ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორცაა ლიკვიდობის რისკი, საკრედიტო რისკი და მერყეობა. ამ ფაქტორებთან დაკავშირებულ დაშვებებში მომხმარებელმა ცვლილებამ შეიძლება იმოქმედოს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე (შენიშვნები 28 და 30).

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8 შემოსავალი გაყიდვებიდან

	2011	2010
საყოფაცხოვრებო სექტორისთვის ელექტროენერჯის მიყიდვა	124,632	117,243
კომერციული და სამრეწველო სექტორისთვის ელექტროენერჯის მიყიდვა	91,971	83,120
სახელმწიფო სექტორისთვის ელექტროენერჯის მიყიდვა	19,575	21,787
ელექტროენერჯის ტრანზიტი	8,042	7,839
ელექტროენერჯის საექსპორტო გაყიდვა	3,562	-
სულ შემოსავლები	247,782	229,989

საქართველოს საზღვრებში ელექტროენერჯის რეალიზაციის ტარიფებს ადგენს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია (სეწმეკი). კომპანიებისთვის დადგენილი დიფერენცირებული ტარიფი დამოკიდებულია მომხმარებლის ქსელში ჩართვის ძაბვაზე, ხოლო საყოფაცხოვრებო სექტორის შემთხვევაში, თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე. „კომპანიისათვის“ დადგენილი გაყიდვის ტარიფები შემდეგია:

მომხმარებლის კატეგორია	ლარი მგტ/სთ 2011	2010
6/10,000 ვ ძაბვის მომხმარებელი	0.12618	0.12618
35/110,000 ვ ძაბვის მომხმარებელი	0.07280	0.07280
220/380 ვ ძაბვის მომხმარებელი პირველ 100 კვტ/სთ-მდე	0.11424	0.11424
220/380 ვ ძაბვის მომხმარებელი 101 კვტ/სთ-დან 300 კვტ/სთ-მდე	0.13560	0.13560
220/380 ვ ძაბვის მომხმარებელი 300 კვტ/სთ ზემოთ	0.14998	0.14998

მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯის ტრანზიტიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს იმ ელექტროენერჯის ტრანზიტისათვის „კომპანიის“ მიერ დარიცხულ თანხას, რომელსაც მომხმარებლები ყიდულობენ „კომპანიის“ ქსელების საშუალებით უშუალოდ შპს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორისგან“ (ესკო). „სეწმეკ“-ის მიერ „კომპანიისთვის“ დადგენილი ტრანზიტის ტარიფი 2011 და 2010 წლებში შეადგენდა მგტ/სთ-ზე 0.0241 ლარს.

საექსპორტო გაყიდვის ტარიფი რეგულირებული არ არის. ექსპორტი მოხდა თურქეთის მიმართულებით „კომპანიის“ ყველა სხვა შემოსავალი საქართველოში წარმოიქმნება.

9 სხვა შემოსავლები

	2011	2010 გადაანგარიშებული
სარგებელი რესტრუქტურირებულ დებიტორებზე დარიცხული დისკონტის ამორტიზაციიდან (შენიშვნა 18)	2,769	2,227
საინსტალაციო და სარემონტო მომსახურება (ა)	2,216	1,404
მოსაკრებლების შეგროვების საფასური (ბ)	1,561	1,055
მომხმარებლებისგან მიღებული აქტივები	529	477
სახელმწიფო გრანტები (შენიშვნა 24)	350	337
ჩამოწერილი კრედიტორული დავალიანება (გ)	-	4,760
სხვა შემოსავლები	1,258	876
სულ სხვა შემოსავლები	8,683	11,136

(ა) საინსტალაციო და სარემონტო მომსახურება

მომხმარებლები, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი ტექნიკური ცოდნა, მიმართავენ „კომპანიას“ საინსტალაციო და სარემონტო მომსახურების გასაწევად. ჩვეულებრივ, ამგვარი საინსტალაციო და სარემონტო სამუშაოები არ ატარებს გრძელვადიან ხასიათს და მიღებული შემოსავლები დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და სირთულეზე.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9 სხვა შემოსავალი (გაგრძელება)

(ბ) მოსაკრებლების შეგროვების საფასური

მოსაკრებლების შეგროვების საფასური დაკავშირებულია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ და თბილისის დასუფთავების სამსახურისთვის მოსაკრებლების შეგროვებისათვის გაწეულ მომსახურებასთან, რაც ელექტროენერჯის საფასურის გადასახდელი ქვითრით ხორციელდება. რადგან „კომპანიის“ ინფორმაციული სისტემა და ინფრასტრუქტურა უფრო კარგად არის განვითარებული, ვიდრე სხვა კომუნალური მომსახურების მომწოდებელი კომპანიებისა, მათთვის უფრო ეფექტურია ბილინგის და გადასახადების გადახდის ფუნქციების სხვა კომპანიის მეშვეობით განხორციელება.

(გ) კრედიტორული დავალიანების ჩამოწერა

„კომპანია“ ჰქონდა „საქენერჯოს“ კრედიტორული დავალიანება 3,283 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოქმნილი იყო 2009 წლის 1 იანვრამდე. „საქენერჯო“ ლიკვიდირებული იქნა 2010 წლის 27 აპრილს სასამართლოს დადგენილებით NB10053558, ვალდებულებების მეორე მხარისთვის გადაცემის გარეშე. ორგანიზაციის სამართლებრივმა მოთხოვნებმა ძალა დაკარგა ლიკვიდაციასთან ერთად, აქედან გამომდინარე „კომპანიამ“ ჩამოწერა კრედიტორული დავალიანება 2010 წელს.

25-ე შენიშვნის თანახმად „კომპანია“ გათავისუფლდა საბაჟო მოსაკრებლის ჯარიმებისა და პირგასამტეხლოსთან დაკავშირებული გარკვეული ვალდებულებებისგან 1,477 ლარის ოდენობით.

10 შესყიდული ელექტროენერჯია

შესყიდული ელექტროენერჯია
ელექტროენერჯიის გადაცემის და დისპეჩერიზაციის ხარჯი
სარეზერვო სიმძლავრის გადასახადი

სულ შესყიდული ენერჯია

2011	2010
98,673	63,570
18,173	16,411
12,918	11,620
129,764	91,601

„კომპანია“ ელექტროენერჯიას ყიდულობს ძირითადად ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოებისგან (შენიშვნა 30).

11 მოძრაობა ანარიცხებსა და გაუფასურების რეზერვში

ცვლილებები რეზერვებსა და გაუფასურებაში

მოძრაობა ანარიცხებსა და გაუფასურების რეზერვში

2011	2010
4,532	(772)
4,532	(772)

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11 მოძრაობა ანარიცხებსა და გაუფასურების რეზერვში (გაგრძელება)

2011 და 2010 წლებში ანარიცხებისა და გაუფასურების რეზერვში მოძრაობის ანალიზი შემდეგნაირად შეიძლება:

	სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვი (ა)	რესტრუქტურ. სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვი (ა)	რეზერვი გადახდილი ავანსებისათვის	ანარიცხები იურიდიული მოთხოვნებისთვის (ბ)	სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი (ა)	წინასწარ გადახდილი გადასახადების რეზერვი (გ)	სულ
1 იანვარი 2010	110,446	3,252	201	8,495	3,094	3,259	128,747
დამატებითი დანარიცხები/(აღდგენა)							
პერიოდისათვის პერიოდის განმავლობაში გამოყენებული	(2,131)	(956)	(67)	(395)	4,321	-	772
31 დეკემბერი 2010	103,795	2,296	134	669	5,033	3,259	115,186
დამატებითი დანარიცხები/(აღდგენა)							
პერიოდისათვის პერიოდის განმავლობაში გამოყენებული	(3,779)	(1,723)	16	168	786	-	(4,532)
31 დეკემბერი 2011	97,303	573	150	837	5,819	3,259	107,941

(ა) სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის გადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა. (შენიშვნა 18).

(ბ) ანარიცხები იურიდიული მოთხოვნებისთვის

„კომპანია“ აფასებს როგორც არსებულ, ასევე წარმოებაში მიღებულ, სასამართლო საქმეებთან დაკავშირებით, სადაც „კომპანია“ გამოდის მოსარჩელე მხარედ, უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. თუ „კომპანიის“ აზრით უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანის რეალური რისკი არსებობს, იგი ახორციელებს შესაბამისი რეზერვის ფორმირებას. ყველა სხვა ცნობილი საქმეები განხილულია პირობითი ვალდებულებების კატეგორიაში, შენიშვნაში 29.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11 მოძრაობა ანარიცხვებსა და გაუფასურების რეზერვში (გაგრძელება)

(ბ) ანარიცხვები იურიდიული მოთხოვნებისთვის (გაგრძელება)

2010 წლის 2 თებერვალს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც „კომპანიას“ დაეკისრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სასარგებლოდ 7,431 ლარის გადახდა. შესაბამისად, „კომპანიას“ მოუწია ადრე აღრიცხული თანხების რეკლასიფიკაცია, ანარიცხვებიდან კრედიტორულ დავალიანებაში. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სამინისტრო და „კომპანია“ შეთანხმდნენ, რომ სამინისტრო უარს იტყვის ამ ვალდებულებაზე, „კომპანიის“ მიერ ელექტრული ქსელის რეაბილიტაციისა და იმულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში 9,618 აბონენტისათვის აღრიცხვის ინდივიდუალური კვანძების მოწყობაში ინვესტირების სანაცვლოდ 2011 წლის მაისის ბოლომდე. „კომპანია“ მიიჩნევს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად ვალდებულება შეესაბამება სახელმწიფო გრანტის განმარტებას, თუმცა გრანტის აღიარება არ მომხდარა, რადგან ხელმძღვანელობის აზრით საფუძვლიანი გრანტია იმისა, რომ „კომპანია“ შეასრულებს მასზე თანდართულ პირობებს მხოლოდ მას შემდეგ იარსებებს, როდესაც სამინისტრო ოფიციალურად გააუქმებს ვალდებულებას. შესაბამისად, ეს ვალდებულება შეყვანილია სხვა კრედიტორული დავალიანების კატეგორიაში 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით (იხ. შენიშვნა 25).

(გ) წინასწარ გადახდილი გადასახადების რეზერვი

რეზერვი დაკავშირებულია „კომპანიის“ მიერ დღგ-ის დაბრუნების მოთხოვნასთან, რაზეც მას საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ უარი ეთქვა „კომპანიის“ მიერ მომწოდებლებსგან მიღებულ დღგ-ს დეკლარაციებში არსებული ხარვეზების გამო. „კომპანიის“ აზრით ამ საგადასახადო აქტივის წარმატებული ამოღება საეჭვოა.

12 სხვა გადასახადები, მოგების გადასახადების გარდა

	2011	2010 გადაანგარიშებული
ელექტროენერჯის დანაკარგებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი (ა)	1,755	2,131
ქონების გადასახადი	1,462	1,890
სხვა	85	75
სულ სხვა გადასახადები, მოგების გადასახადების გარდა	3,302	4,096

(ა) ელექტროენერჯის დანაკარგებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის („სსკ“) თანახმად ელექტროენერჯის დანაკარგები არ უნდა აღემატებოდეს 12.4%. ტექნიკური დანაკარგები წარმოადგენს სხვაობას „კომპანიის“ მიერ მოცემულ თვეში მიღებული ელექტროენერჯის რაოდენობასა და „კომპანიის“ მიერ კონკრეტულ თვეში მომხმარებლებისთვის მიწოდებული ელექტროენერჯის რაოდენობას შორის. თუ დანაკარგები აღემატება 12.4%, სსკ-ის მოთხოვნების შესაბამისად დაუშვებელია დამატებითი დანაკარგების აღიარება დაბეგრის მიზნებისთვის, ამგვარად, სსკ-ის თანახმად ნებისმიერი სხვაობა ფაქტობრივ დანაკარგებსა და 12.4% შორის განიხილება, როგორც „კომპანიის“ მიერ განხორციელებული დასაბეგრი მიწოდება და შესაბამისად ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრასა და დასაბეგრი მოგების კატეგორიაში შეტანას, მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

2011 წელს „კომპანიის“ ფაქტობრივმა დანაკარგებმა შეადგინა 13.6% (2010: 15.5%), რამაც გამოიწვია დამატებითი დღგ ვალდებულებების დარიცხვა, რომელსაც „კომპანია“ ვერ მიიღებს თავისი მოხმარებლებისგან და შესაბამისად, ხარჯის სახით აისახა უშუალოდ მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშში.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

13 სხვა საოპერაციო ხარჯები

	2011	2010 გადაანგარიშებული
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	5,884	5,484
რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების თავდაპირველი ასახვით მიღებული ზარალი (შენიშვნა 18)	2,778	2,906
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	2,570	2,571
დაზღვევა	1,874	1,769
ოფისის იჯარა და ტექნიკური მომსახურება	1,755	1,458
საქველმოქმედო და სოციალური ხარჯები	1,496	1,260
საწევრო შესატანები	1,438	1,131
სამგზავრო და წარმომადგენლობითი ხარჯები	1,229	1,305
პროფესიული მომსახურება	537	465
საკანცელარიო საქონელი	260	293
ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებული დანაკარგები	254	546
ჯარიმები და კომპენსაციები	75	1,367
სხვა	2,470	1,726
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	22,620	22,281

14 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

	2011	2010
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		
საპროცენტო სარგებელი	1,405	671
შემოსულობა „შშმბელი კომპანიისგან“ მიღებულ სესხზე მომავალი ფულადი ნაკადების გადაფასებიდან (შენიშვნა 23)	4,840	1,460
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	4,127	-
სულ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	10,372	2,131
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები		
საპროცენტო ხარჯები (შენიშვნა 23)	(11,272)	(12,982)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	-	(5,905)
სულ ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები	(11,272)	(18,887)

კურსთაშორის სხვაობი ძირითადად გამოწვეულია „კომპანიის“ აშშ დოლარებში გამოხატული აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშებით. სავალუტო რისკის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 27.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15 მოგების გადასახადი

31 დეკემბრით დასრულებული 2011 და 2010 წლების სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯის უმთავრესი კომპონენტებია:

	2011	2010 გადაანგარიშებული
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	10,002	528
დროებითი სხვაობების წარმოქმნასა და აღდგენასთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი	3,852	3,474
მოგების გადასახადი წლის განმავლობაში	13,854	4,002

მოგების გადასახადის ხარჯისა და სააღრიცხვო მოგების საქართველოს შიდა საგადასახადო განაკვეთზე ნამრავლის შეჯერება 31 დეკემბრით დასრულებული 2011 და 2010 წლებისთვის ასეთია:

	2011	2010 გადაანგარიშებული
მოგება გადასახადით დაბეგრამდე	43,973	51,177
თეორიული გადასახადის დარიცხვა 15%-ით	6,596	7,677
დამატებით დასაბეგრი მოგება ზენორმატიული ტექნიკური დანაკარგების შედეგად (ა)	1,463	1,225
ტექნიკურ დანაკარგებზე დარიცხული დღგ, რომელიც არ ექვემდებარება გამოქვითვას (ა)	263	320
„მშობელი კომპანიის“ სესხზე დარიცხული პროცენტები და კურსთაშორისი სხვაობა (ბ)	4,984	(5,019)
დაბეგრის ზემოქმედება სხვა მუხლებზე, რომლებიც არ ექვემდებარება გამოქვითვას ან შეფასებას დაბეგრის მოგების გადასახდის მიზნებისათვის	548	(201)
მოგების გადასახადი წლის განმავლობაში	13,854	4,002

(ა) დამატებით დასაბეგრი მოგება ზენორმატიული ტექნიკური დანაკარგების შედეგად

11.ა შენიშვნაში განხილულის შესაბამისად, „კომპანიას“ აქვს ზენორმატიული ტექნიკური დანაკარგები. სსკ-ის შესაბამისად, „კომპანია“ ვალდებულია აღიაროს ელექტროენერჯის პოტენციური გაყიდვა დანაკარგების დამტკიცებული ნორმის ზემოთ, რაც წარმოქმნის დასაბეგრ მოგებას, რომელიც არ აისახება ფასს-ის შესაბამისად. „კომპანია“ ასევე ვალდებულია დღგ-ით დაბეგროს ასეთი პოტენციური შემოსავლები, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხარჯებს, რომელიც არ ექვემდებარება დაქვითვას.

(ბ) „მშობელი კომპანიისგან“ მიღებული სესხი

23.გ შენიშვნის შესაბამისად, „მშობელი კომპანიისგან“ მიღებული სესხი უნდა დაიფაროს 2059 წელს, და მას არა აქვს პროცენტის გადახდის დაფიქსირებული თარიღები. „კომპანიას“ სესხის დაფარვები არ განუხორციელებია. ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ამ სესხთან დაკავშირებით მოგების გადასახადის მიზნებისთვის გამოქვითვისგან თავი შეიკავოს.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

(გ) დროებითი სხვაობების მოძრაობა

	2010 წლის 1 იანვარი	დარიცხული მოგებაზე ან ზარალზე	2011 წლის 31 დეკემბერი	დარიცხული მოგებაზე ან ზარალზე	2011 წლის 31 დეკემბერი
	გადაანგარიშ ბული	გადაანგარიშ ებული	გადაანგარიშ ბული		
ძირითადი საშუალებები	(1,972)	(4,303)	(6,275)	(4,214)	(10,489)
არამატერიალური აქტივები	(39)	84	45	20	65
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	4,776	428	5,204	(1,323)	3,881
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	179	(125)	54	-	54
ანარიცხები	1,274	(58)	1,216	25	1,241
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	673	44	717	656	1,373
სახელმწიფო გრანტები	-	456	456	(34)	422
სესხები და გადასახდელი ანგარიშები	-	-	-	1,018	1,018
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები/ (ვალდებულება)	4,891	(3,474)	1,417	(3,852)	(2,435)

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16 ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანები და მოწყობილობები	საოფისე აქტურები და ინვენტარი	ავტო სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა და სათადარიგო ნაწილები	სულ
თვითღირებულება:							
ნაშთი 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	8,361	18,740	107,946	9,560	4,764	16,858	166,229
შემოსავლები	1,006	2,162	1,730	–	1,072	22,064	28,034
შიდა გადაცემა	–	2,376	18,217	3,086	–	(23,679)	–
გასხვისება და ჩამოწერა (გადაანგარიშებული)	(18)	(173)	(770)	(1,348)	(104)	–	(2,413)
ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	9,349	23,105	127,123	11,298	5,732	15,243	191,850
შემოსავლები	6	185	856	13	95	26,403	27,558
შიდა გადაცემა	246	3,606	17,501	5,290	765	(27,408)	–
გასხვისება და ჩამოწერა (გადაანგარიშებული)	(6)	(69)	(761)	(336)	(303)	–	(1,475)
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,595	26,827	144,719	16,265	6,289	14,238	217,933
აკუმულირებული ცვეთა							
ნაშთი 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	–	1,859	15,075	4,493	1,615	–	23,042
დარიცხვა წლის განმავლობაში (გადაანგარიშებული)	–	395	6,807	1,726	454	–	9,382
გასხვისება და ჩამოწერა (გადაანგარიშებული)	–	(66)	(297)	(791)	(17)	–	(1,171)
ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	–	2,188	21,585	5,428	2,052	–	31,253
დარიცხვა წლის განმავლობაში	–	553	7,134	1,531	522	–	9,740
გასხვისება	–	(7)	(238)	(252)	(228)	–	(725)
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	2,734	28,481	6,707	2,346	–	40,268
წმინდა საბალანსო ღირებულება 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	8,361	16,881	92,871	5,067	3,149	16,858	143,187
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	9,349	20,917	105,538	5,870	3,680	15,243	160,597
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,595	24,093	116,238	9,558	3,943	14,238	177,665

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

დაუმთავრებელი მშენებლობა ასახავს იმ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, აგრეთვე სამშენებლო კომპანიებისთვის გადაცემულ სათადარიგო ნაწილებსა და საავანსო გადახდებს. სათადარიგო ნაწილები შედის მუხლებში, რომლებიც გამოიყენება „კომპანიის“ ძირითადი საშუალებების შეკეთების ან შეცვლისთვის, მაგალითად, სატრანსფორმატორო სადგურების ნაწილები და კაბელები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირებულია ძირითად საშუალებებში, მაგრამ არ ერიცხება ამორტიზაცია მათ გაერთიანებამდე აღნიშნულ აქტივებში და ამორტიზაციის დარიცხვა განხორციელდება ამ აქტივის დარჩენილი სასარგებლო გამოყენების პერიოდის მიხედვით.

17 არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	დასანერგი პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
თვითღირებულება			
2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,481	699	2,180
შემოსავლები	1,296	1,519	2,815
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,777	2,218	4,995
შემოსავლები	450	60	510
შიდა გადაცემა	2,218	(2,218)	-
გასხვისება და ჩამოწერა	(47)	-	(47)
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,398	60	5,458
ამორტიზაცია:			
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	686	-	686
დარიცხვები წლის განმავლობაში	243	-	243
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	929	-	929
დარიცხვები წლის განმავლობაში	861	-	861
გასხვისება და ჩამოწერა	(2)	-	(2)
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,788	-	1,788
წმინდა საბალანსო ღირებულება: 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	795	699	1,494
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,848	2,218	4,066
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,610	60	3,670

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება საბუღალტრო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისაგან, აგრეთვე პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ლიცენზიებისაგან.

დანერგვის სტადიაზე მყოფი პროგრამული უზრუნველყოფა დაკავშირებულია „კომპანიის“ ძალისხმევასთან დანერგვის საწარმოს რესურსების დაგეგმვის SAP სისტემა, რომელიც ექსპლუატაციაში გაეშვა 2011 წლის 1 იანვრიდან.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2011	31 დეკემბერი, 2010 გადაანგარიშებული	1 იანვარი, 2010 გადაანგარიშებული
რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება, გრძელვადიანი ნაწილი			
რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ა)	5,989	7,205	8,296
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (შენიშვნა 11)	(573)	(2,296)	(3,252)
სულ გრძელვადიანი რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება	5,416	4,909	5,044
მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება			
საყოფაცხოვრებო სექტორი	73,339	78,412	84,812
სახელმწიფო სექტორი	13,714	14,461	14,151
კომერციული და სამრეწველო სექტორი	37,105	35,580	37,201
რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება, მიმდინარე ნაწილი (ა)	6,571	8,211	11,431
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (შენიშვნა 11)	(97,303)	(103,795)	(110,446)
სულ მიმდინარე სავაჭრო დებიტორული დავალიანება	33,426	32,869	37,149
სხვა დებიტორული დავალიანება (ბ)	6,339	5,510	7,821
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (შენიშვნა 11)	(5,820)	(5,034)	(3,094)
სულ მიმდინარე სხვა დებიტორული დავალიანება	519	476	4,727
სულ მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	33,945	33,345	41,876
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	39,361	38,254	46,920

(ა) რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება

მომხმარებელთაგან ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების ამოღების ხელშესაწყობად, „კომპანია“ მომხმარებლებთან დებს რესტრუქტურირების შესახებ შეთანხმებებს, რომელთა შესაბამისადაც ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების გადასაწილებლა მომავალ პერიოდებზე ყოველთვიური თანაბარი შენატანებით. მომხმარებელთა რესტრუქტურირებულ დებიტორულ დავალიანებას არ ერიცხება პროცენტი. ხელმძღვანელობის აზრით, სავაჭრო დებიტორული დავალიანების რესტრუქტურირების შედეგად საგრძნობლად იცვლება არსებული ფინანსური აქტივის პირობები და ეს აღირიცხება, როგორც თავდაპირველი სავაჭრო დებიტორული დავალიანების დაფარვა და ახალი რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების აღიარება. მისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ახალი ფინანსური აქტივების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კომერციული ბანკების მიერ მსგავსი მომხმარებლებისთვის შეთავაზებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენის მიხედვით).

რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების თავდაპირველი აღიარებით მიღებულმა ზარალმა შეადგინა 2,778 ლარი 2011 წელს (2010: 2,906 ლარი) (შენიშვნა 13).

საპროცენტო შემოსავლებმა რესტრუქტურირებით მიღებული ადრე აღიარებული ზარალის ამორტიზაციიდან შეადგინა 2,769 ლარი 2010 წელს (2010: 2,227 ლარი) (შენიშვნა 9).

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

(ბ) სხვა დებიტორული დავალიანება

სხვა დებიტორული დავალიანების ნაშთები მოიცავს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ („სსე“) – საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ორგანიზაციის – დებიტორულ დავალიანებას, რომელიც შეადგენს 3,750 ათას ლარს. ეს დებიტორული დავალიანება „კომპანია“ 2005 წელს სხვადასხვა კონტრაგენტისგან შეისყიდა. ამჟამად გაკოტრების საქმის წარმოება მიმდინარეობს. მისი ყველა ძველი ვალდებულება, „კომპანიის“ მიმართ არსებული დავალიანების ჩათვლით, დაჯგუფებულ იქნა დაფარვის რიგითობის მიხედვით. „სსე“-ის მიმართ გაკოტრებასთან დაკავშირებით გამოყენებული სამართალდამცავი ზომების მიმდინარე გეგმის საფუძველზე, სსე, სავარაუდოდ, „კომპანიის“ წინაშე თავისი ვალდებულებების დაფარვას დაიწყებს 2030 წელს. ხელმძღვანელობამ ამ დებიტორული დავალიანებისათვის შექმნა სრული რეზერვი, რადგან „სსე“-ს მიერ გაკოტრებისაგან დაცვის გეგმის შესრულების მეტ-ნაკლები სიზუსტით პროგნოზირება შეუძლებელია.

(გ) სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურება

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით შემდეგია:

	სულ	არც	ვადაგადცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული				
		ვადაგადცილებული, არც	<60 დღე	60-120 დღე	120-180 დღე	180-360 დღე	>360 დღე
2011	39,361	32,119	437	376	199	490	5,740
2010							
გადაანგარიშებული	38,254	20,995	552	569	361	517	15,260
2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით							
გადაანგარიშებული	46,920	21,969	1,120	675	365	802	21,989

უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვში ცვლილებები იხილეთ შენიშვნაში 11.

19 გადახდილი ავანსები

	2011	2010	2010 წლის 1 იანვარი,
		გადაანგარიშებული	გადაანგარიშებული
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	4,154	5,555	5,300
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (შენიშვნა 11)	(150)	(134)	(201)
სულ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	4,004	5,421	5,099
ანაზღაურებადი დღე	3,377	3,449	3,397
მოგების წინასწარ გადახდილი გადასახადი	-	857	-
სხვა საგადასახადო აქტივები	180	356	122
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (შენიშვნა 11)	(3,259)	(3,259)	(3,259)
სულ საგადასახადო აქტივები	298	1,403	260
სულ გადახდილი ავანსები	4,302	6,824	5,359

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

20 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2011	2010
ნედლეული და მასალები	9,178	8,545
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,951	3,800
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13,129	12,345

21 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2011	2010
მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე ანაზრები (ა)	21,180	15,168
სალაროში წაღდი ფულის ნაშთი	39	21
კორპორაციული ბარათები	33	55
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21,252	15,244

(ა) მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე ანაზრები

მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნადი ანაზრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში. სახელმწიფო ვადა 1-დან 3 თვემდეა. 2011 წელს მოთხოვნამდე ანაზრებზე საშუალოდ 10.5% წლიური პროცენტი დაირიცხა (2010: 9.5%).

22 სააქციო კაპიტალი

	2011	2010
გამოშვებული და სრულად გამოსყიდული აქციების რაოდენობა	81,147,886	81,147,886
ღირებულება	81,148	81,148

ჩვეულებრივი აქციების ნებადართული და გამოშვებული რაოდენობაა 81,147,886, ხოლო თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 0.001 ლარი. აქციები ერთნაირი კლასისაა და თითოეულ აქციას შეესაბამება ერთი ხმა. 2011-2010 წლების განმავლობაში გამოშვებული აქციების რაოდენობა არ შეცვლილა.

„კომპანის“ აქციონერთა სტრუქტურა 31 დეკემბრისთვის ასეთია:

	2011	2010
„მშობელი კომპანია“	75.00%	75.00%
საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	24.53%	24.53%
კერძო პირები	0.47%	0.47%
სულ	100.00%	100.00%

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

22 სააქციო კაპიტალი (გაგრძელება)

(ა) მოგება ერთ აქციაზე

საბაზო მოგება ერთ აქციაზე გამოითვლება მოცემული წლისათვის „კომპანიის“ ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა წმინდა მოგების შეფარდებით წლის განმავლობაში აქციონერთა მფლობელობაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილთან.

ქვემოთ მოცემულია მოგების და აქციების შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება ერთ აქციაზე საბაზო მოგების გამოსათვლელად:

	2011	2010
ჩვეულებრივი აქციების მფლობელების წმინდა მოგება	30,119	47,175
ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილი ერთ აქციაზე	81,147,886	81,147,886
საბაზო მოგების გამოსათვლელად		
საბაზო მოგება ერთ აქციაზე	0.00037	0.00058

ანგარიშგების დღიდან წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დასრულების თარიღამდე ჩვეულებრივი აქციების ან პოტენციური ჩვეულებრივი აქციების მონაწილეობით სხვა ოპერაცია არ შესრულებულა.

23 პროცენტური სესხები და თამასუქები

	2011	2010
გრძელვადიანი		
„მშობელი კომპანიისგან“ მიღებული სესხი (ა)	45,076	45,103
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი სესხი (ბ)	41,757	-
ადგილობრივი ბანკებიდან აღებული სახსრები (გ)	4,168	20,734
გადასახდელი თამასუქები (დ)	522	603
სულ გრძელვადიანი სესხები და თამასუქები	91,523	66,440
მიმდინარე		
ადგილობრივი ბანკებიდან აღებული სახსრები (გ)	1,858	11,068
გადასახდელი თამასუქების მიმდინარე ნაწილი (დ)	139	139
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი სესხის მიმდინარე ნაწილი (ბ)	277	-
სულ მიმდინარე სესხები და თამასუქები	2,274	11,207
სულ სესხები და თამასუქები	93,797	77,647

(ა) „მშობელი კომპანიისგან“ მიღებული სესხი

2008 წლის 27 ოქტომბერს სს „თელასმა“ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „მშობელ კომპანიასთან“, რომლის მიხედვითაც სესხის დაუფარავი თანხა 388,336 აშშ დოლარის ოდენობით, მითითებული თარიღის მდგომარეობით, „მშობელი კომპანიის“ მიერ გაცემული სესხის ძირითადი თანხისა და სესხზე დარიცხული პროცენტის ჩათვლით, რესტრუქტურირებული იქნა ახალი სესხის სახით. რესტრუქტურირებული სესხის დაფარვის თარიღია 2059 წლის 31 დეკემბერი, ხოლო ყოველწლიურად დარიცხული პროცენტი 1%. პროცენტის დარიცხვა განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანია“ თავისი საქმიანობიდან მოგებას მიიღებს. ხელშეკრულებით მას შენატანების განხორციელების მკაცრი ვალდებულება არ ეკისრება. მთავარია, გადახდის საბოლოო თარიღისთვის მთლიანი სესხი პროცენტის ჩათვლით დაიფაროს. „კომპანიამ“ რესტრუქტურირების თარიღისათვის რესტრუქტურირებული სესხის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად 18% გამოიყენა, რადგან ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ 18% ასახავდა ამ თარიღისათვის მსგავსი ინსტრუმენტების სამართლიან პროცენტს.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

23 პროცენტური სესხები და თამასუქები (გაგრძელება)

(ა) „მშობელი კომპანიისგან“ მიღებული სესხი (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხელმძღვანელობა აფასებს სესხთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მომავალ წაკადებს. სესხის საბალანსო ღირებულების ცვლილება, რომელიც გამოწვეულია ფულადი სახსრების მომავალი წაკადების გადაფასებით, ასახულია სრული შემოსავლის ანგარიშგების ფინანსური შემოსავლის ნაწილში და 2011 წელს შეადგინა 4,840 ლარი (2010: 1,460 ლარი) (შენიშვნა 14). 2011 წელს სესხის საბალანსო ღირებულების შეცვლა ძირითადად განპირობებულია სესხის დაფარვის თარიღებთან დაკავშირებით ხელმძღვანელობის მოლოდინში მომხდარ ცვლილებასთან. 2010 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ ივარაუდა, რომ სესხის დაფარვას დაიწყებდა 2011 წელს, რათა „საბოლოო მშობელ კომპანიას“ 2011 წლისთვის დაგეგმილი გარკვეული ბიზნესების შესყიდვაში დახმარებოდა. ამის მიუხედავად, 2011 წელს „საბოლოო მშობელ კომპანიას“ სესხის დაფარვა არ მოუთხოვია და ასეთი მოთხოვნა არც 2012 წლისთვისაა მოსალოდნელი, რადგანაც ეს არ არის გათვალისწინებული „კომპანიის“ მომავალი წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ბიუჯეტში. 2012 წლის 31 დეკემბრისთვის სესხის საბალანსო ღირებულება ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ სესხის დაფარვა 2013 წელს დაიწყება. 2011 წლის 31 დეკემბრისთვის სესხის საბალანსო ღირებულება კიდევ 1,648 ლარით შემცირდება, და თუ თუ დაფარვა ერთი წლის დაგვიანებით, 2014 წელს დაიწყება.

„საბოლოო მშობელი კომპანია“ საქართველოს მთავრობასთან გარკვეული მოთხოვნების ჩათვლის გარეშე ხელშეკრულების გაფორმების პროცესშია, რომელიც ეხება მთელ რიგ ტრანზაქციებს „კომპანიის“ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების მონაწილეობით. ამ ტრანზაქციების შედეგად „საბოლოო მშობელი კომპანიისგან“ მიღებული სესხები ძირითადად „კომპანიის“ დამატებითი აქციების გამოშვებით დაიფარება. საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად დაამტკიცა შეთანხმების გეგმა 2011 წლის 27 დეკემბრის #2536 დადგენილებით. წინამდებარე ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის მხარეებს ხელი არ მოუწერიათ რაიმე ოფიციალურ ხელშეკრულებაზე, შესაბამისად ამ შეთანხმების შედეგები „მშობელი კომპანიისგან“ მიღებული სესხების ამორტიზირებული ღირებულების განსაზღვრისას გათვალისწინებული არ არის.

(ბ) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი სესხი

2010 წლის 15 დეკემბერს, „კომპანიამ“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) დადო ხელშეკრულება 25,000 აშშ დოლარის ოდენობის სესხზე. 2011 წლის დეკემბრისთვის „კომპანიის“ სრულად ჰქონდა ათვისებული ეს სესხი. სესხის ვალუტაა აშშ დოლარი, ერიცხება საპროცენტო განაკვეთი LIBOR-ის მიხედვით, რომელსაც ემატება 3.5%-5.0%-იანი წლიური მარჟა. მარჟა მიზნულია „კომპანიისა“ და მისი „საბოლოო მშობელი კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე და ეყრდნობა მათი წლიური ფინანსური ვალის შეფარდებას EBITDA-სთან (შემოსავლები პროცენტამდე, გადასახადამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე).

ამ ხელშეკრულების თანახმად „კომპანიის“ მიერ ვალდებულებების შესრულების გარანტიორად გამოდის „საბოლოო მშობელი კომპანია“. „საბოლოო მშობელი კომპანია“ გაცემული გარანტიისთვის კომპანიას საზღაურს არ აკისრებს. გარანტია სასესხო ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და ამრიგად, სესხთან ერთად აღირიცხება, როგორც ერთიანი ფინანსური ინსტრუმენტი.

სესხის დამტკიცებასა და გაცემასთან დაკავშირებით „კომპანიამ“ გადაიხადა 713 ლარის ოდენობის წინასწარი საკომისიო და 213 ლარის ოდენობის სხვა ტრანზაქციის დანახარჯები.

სასესხო ხელშეკრულება „კომპანიას“ გარკვეულ ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებებს აკისრებს. მათგან აღსანიშნავია ის, რომ „კომპანიის“ სესხის დაფარვის კოეფიციენტი უნდა იყოს არანაკლებ 1.2, ხოლო პროცენტამდე, გადასახადამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე შემოსავლებთან ფინანსური ვალის თანაფარდობის კოეფიციენტი - მაქსიმუმ 4. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანია“ აკმაყოფილებდა ყველა შემზღვეული პირობის მოთხოვნას.

EBRD-სგან მიღებულ სესხზე დარიცხულმა პროცენტმა 2011 წელს 1,382 ლარი შეადგინა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

23 პროცენტური სესხები და თამასუქები (გაგრძელება)

(გ) ადგილობრივი ბანკებისგან ნასესხები სახსრები

2009 წლის 15 დეკემბერს „კომპანია“ გააფორმა ხელშეკრულება საკრედიტო ხაზის გახსნის შესახებ სს „საქართველოს ბანკთან“ 5,000 აშშ დოლარზე. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია“ მთლიანად გამოიყენა კრედიტის თანხა. კრედიტი აშშ დოლარშია გაცემული და მისი წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 14.0%-ს 2011 წლის 6 აპრილამდე, ხოლო ამ თარიღიდან საპროცენტო განაკვეთი შეიცვალა და გახდა 12.5%. კრედიტის დაფარვის თარიღია 2014 წლის 15 დეკემბერი. კრედიტის ოდენობა, დარიცხულ პროცენტთან ერთად 2011 წლის 31 დეკემბრისთვის 6,026 ლარს შეადგენდა. (2010: 8,397 ლარი).

2008 წლის 17 ივლისს „კომპანია“ გააფორმა ხელშეკრულება საკრედიტო ხაზის გახსნის შესახებ სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიასთან“ 14,000 აშშ დოლარზე. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიას“ სრულად ჰქონდა ათვისებული კრედიტი. კრედიტი გამოხატულია აშშ დოლარებში და ერიცხება საპროცენტო განაკვეთი წლიური 14% ოდენობით. მისი დაფარვის ვადა 2012 წლის 17 ივლისია. 2011 წლის 31 დეკემბრისთვის „კომპანიას“ სრულად ჰქონდა კრედიტი დაფარული წინსწრებით. კრედიტის საბალანსო ღირებულება 2011 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა ნულს (2010: 23,405 ლარი).

2011 წელს ადგილობრივი ბანკებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი 1,476 ლარს შეადგენდა (2010: 5,917 ლარი).

(დ) გრძელვადიანი თამასუქები

„კომპანიას“ აქვს გრძელვადიანი უპროცენტო გადასახდელი თამასუქები ლარში. ეს თამასუქები გამოიშვა 1998 წელს „კომპანიის“ თავდაპირველი პრივატიზაციის დროს „კომპანიის“ მიერ გარკვეული ყოფილი მიმწოდებლების მიმართ არსებულ წინა სავალო ვალდებულებებზე უარის თქმასთან დაკავშირებით. ამ გადასახდელი თამასუქების საბალანსო ღირებულება შეფასებული იყო 15.4% დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით გადახდის დადგენილი თარიღის დადგომამდე. ითვლება, რომ მოცემული დისკონტირების განაკვეთი მიახლოებულია სესხის ეკვივალენტურ მომგებიანობასთან საქართველოს ბაზარზე მისი წარმოქმნის მომენტში და მას შემდეგ არ შეცვლილა.

თამასუქების უმრავლესობის შემთხვევაში, იმის გამო, რომ მათი დაფარვის ვადა 2011 წლის 31 დეკემბრიდან მინიმუმ 79 წლის შემდეგ იწყება, ამორტიზირებული ღირებულება ნულს შეადგენს (2010: ნული).

გადასახდელი თამასუქები შემდეგია:

	დაფარვის ვადა	ნომინალური ღირებულება 2011 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	საბალანსო ღირებულება 2011 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	ნომინალური ღირებულება 2010 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	საბალანსო ღირებულება 2010 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფინანსთა სამინისტრო	2098	132,000	—	132,000	—
ორთაჭალა	2098	388	—	388	—
ზაპესი	2098	119	—	119	—
საცხენისი	2098	73	—	73	—
სს „თელასი“	2098	50	—	50	—
ორბი	2098	9	—	9	—
ელექტროგადაცემა	2021	1,021	661	1,302	742
სულ გადასახდელი თამასუქები		133,660	661	133,941	742

გადასახდელ თამასუქებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯებმა შეადგინა 66 ლარი (2010: 181 ლარი) (შენიშვნა 14).

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

24 სახელმწიფო გრანტები

მიღებული სახელმწიფო გრანტების ცვლილებების ანალიზი შემდეგნაირად შეიძლება:

	2011	2010 გადაანგარიშებული
1 იანვრის მდგომარეობით	3,037	-
წლის განმავლობაში მიღებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში რეალიზებული	123	3,374
31 დეკემბრის მდგომარეობით	(350)	(337)
	2,810	3,037
მიმდინარე გრძელვადიანი	350	337
	2,460	2,700
სულ სახელმწიფო გრანტები	2,810	3,037

სახელმწიფო გრანტები მიიღება არაფულადი აქტივების, როგორცაა მიწა და ელექტრომომწყობილობა, გადმოცემის სახით. „კომპანია“ აფასებს აქტივების სამართლიან ღირებულებას და აქტივებს და გრანტებს ამ სამართლიანი ღირებულებით აღრიცხავს. მიღებული აქტივების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად „კომპანია“ დამოუკიდებელ შემფასებელს ქირაობს. გრანტების პირობები მოცემულია 29-ე შენიშვნაში.

25 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2011	2010 გადაანგარიშებული	1 იანვარი 2010 გადაანგარიშებული
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება			
ელექტროენერჯის მომწოდებლების მიმართ (ბ)	51,889	80,754	84,956
„მშობელი კომპანიისთვის“ გადასახდელი თანხები (ა)	14,892	15,824	15,130
სხვა (გ)	26,585	28,631	31,689
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	93,366	125,209	131,775

(ა) „მშობელი კომპანიისთვის“ გადასახდელი თანხები

ხელმძღვანელობისა და ტექნიკური დახმარების „მშობელი კომპანიისთვის“ გადასახდელი საფასურები წარმოიქმნა 2010 წლამდე. გადასახდელი თანხები არის ვადაგადაცილებული. „კომპანია“ ამ თანხების დაფარვას ახორციელებს მხოლოდ „მშობელი კომპანიის“ მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში. ამ ანგარიშგებაზე თანხების გადახდა არ მომხდარა 2010 და 2011 წლების განმავლობაში. გადახდა არ არის დაგეგმილი არც 2012 წლისთვის. (შენიშვნა 3).

(ბ) სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ელექტრო ენერჯის მომწოდებლების მიმართ

„კომპანია“ ელექტროენერჯის შესყიდვას ძირითადად აწარმოებს საერთო კონტროლის ქვეშ არსებული ორგანიზაციებისგან. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 30.

მომწოდებლების მიმართ სავაჭრო კრედიტორული დავალიანება მოიცავს „TGR Energy“-ისთვის გადასახდელ 2,708 ლარს (2010: 2,874 ლარი), რომელიც აღრიცხულია როგორც მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულება(შენიშვნა 30).

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

25 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (გაგრძელება)

(გ) სხვა სავაჭრო კრედიტორული დავალიანება

სხვა კრედიტორული დავალიანება 2011 წლის 31 დეკემბერს მოიცავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გადასახდელ 7,431 ლარს (2010: 7,431 ლარი) (შენიშვნა 11).

სხვა კრედიტორული დავალიანება, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შეადგენდა საბაჟოს მოსაკრებელზე დარიცხულ ჯარიმებს 1,477 ათას ლარის ოდენობით, რაც გასაჩივრებულია „კომპანიის“ მიერ. უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება „კომპანიის“ სასარგებლოდ 2009 წლის 24 ივნისს. ოფიციალური გადაწყვეტილება „კომპანიას“ გადაეცა 2010 წელს. შესაბამისად, აღრიცხული დავალიანების აღიარება შეწყდა 2010 წელს (შენიშვნა 9).

26 სხვა საგადასახადო დავალიანება

	2011	2010 გადაანგარიშებული	1 იანვარი 2010 გადაანგარიშებული
გადასახდელი დღგ	11,544	12,565	14,118
საგზაო გადასახადთან დაკავშირებული ვალდებულება	–	3,424	4,584
საშემოსავლო გადასახადი	753	688	531
ქონების გადასახადი	–	–	692
სულ სხვა საგადასახადო დავალიანება – მიმდინარე	12,297	16,677	19,925
რესტრუქტურირებული საგზაო გადასახადი - გრძელვადიანი	–	–	3,424
სულ სხვა საგადასახადო დავალიანება	12,297	16,677	23,349

დამატებითი ღირებულების გადასახადში შედის გადავადებულ დღგ-სთან დაკავშირებული ნომინალური თანხა 5,818 ლარი (2010: 6,545 ლარი), რომელიც გადახდილი უნდა იქნეს შესაბამისი ორგანოებისათვის მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამისი ასანაზღაურებელი დებიტორული დავალიანების ბალანსი ანაზღაურებული იქნება აბონენტების მიერ ან ჩამოიწერება. თანხა არ ექვემდებარება დისკონტირებას იმის გათვალისწინებით, რომ ანაზღაურების ან ჩამოწერის ვადა არ არის განსაზღვრული და, ვინაიდან, ასანაზღაურებელი თანხის ამოღება ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი.

2009 წლის 30 ივნისს „კომპანიამ“ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან „გადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულების რესტრუქტურირების შესახებ“, რომლის მიზანი იყო საგზაო გადასახადთან დაკავშირებული ვალდებულების - 10,273 ლარის ოდენობით რესტრუქტურირება. საგადასახადო დავალიანება რესტრუქტურირებულია 24 თვის ვადით ძირითადი თანხის კვარტალური დაფარებით თანაბარი ნაწილების გადახდის საფუძველზე და წლიური 6% სარგებლის დარიცხვით. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულება სრულად არის გადახდილი.

27 ფინანსური რისკის მართვა

„კომპანია“ განიხილავს თავის რისკებს ფინანსური რისკების კონტექსტში (საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო, ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთის რისკები), ასევე განიხილება საოპერაციო და იურიდიული რისკები. „კომპანიისთვის“ ფინანსური რისკების მართვაში ყველაზე მნიშვნელოვანია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ რისკების შენარჩუნების უზრუნველყოფა მოცემულ საზღვრებში. „კომპანია“ განაგრძობს თავისი ფუნქციების განვითარებას საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვაში. „კომპანიის“ მიერ დღეისათვის მიღებული ზომები, მათ შორის „საბოლოო მშობელი კომპანიის“ მიერ განხორციელებული ზედამხედველობა, და მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მიღებული ზომები მიზნად ისახავს შიდა წესებისა და პროცედურების შესაბამისი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაცვანად, როგორც ამჟამად, ისე მომავალში.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

27 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი

„კომპანია“ ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარე ვერ შეძლებს დავალიანების დროულად და სრული მოცულობით გადახდას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად აყენებს „კომპანიას“ საკრედიტო რისკის ქვეშ, ძირითადად, შედგება სავაჭრო დებიტორული დავალიანების, რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების, სხვა სავაჭრო დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისგან. „კომპანია“ თბილისში მომსახურების გაწევის სფეროში მონოპოლისტური მდგომარეობა აქვს, ამიტომ მისი შესაძლებლობა აირჩიოს სასურველი მომხმარებლები შეზღუდულია. „კომპანია“ საკრედიტო რისკის მართვას ახორციელებს იმ მომხმარებელთა ქსელიდან დროული გათიშვით, რომლებიც არ იხდიან ელექტროენერჯის დავალიანებას, მაგრამ „კომპანიის“ მომხმარებელთა რაოდენობის და მათი გეოგრაფიული განაწილების გათვალისწინებით, შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ყველა არგადამხდელი მომხმარებელი არ იქნება დროულად გათიშული. ამასთან, არსებობს გათიშულ მომხმარებელთა არასანქცირებული ჩართვის რისკი. „კომპანია“ ასევე ემსახურება სოციალური სფეროს მომხმარებლებს, რომელთა გათიშვას ქსელიდან „კომპანია“ ვერ შეძლებს მათი ვალის არასათანადო მომსახურების შემთხვევაშიც კი. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა კონსერვატიული დარეზერვების პოლიტიკა, რომელიც ნებისმიერი პრობლემური მომხმარებლის დროული იდენტიფიცირებისა და ადეკვატური დარეზერვების საშუალებას იძლევა. დებიტორული დავალიანების, რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების, სხვა სავაჭრო დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, მთლიანად ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ „კომპანიას“ არ ეშუქება გადაუხდელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც გადააჭარბებს დადგენილ რეზერვებს.

„კომპანიას“ არ გააჩნია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან სამომხმარებლო პორტფელი დივერსიფიცირებულია საყოფაცხოვრებო და კომერციული სექტორების დიდი რაოდენობის მომხმარებლებს შორის.

ფულადი სახსრების ჭარბი ნაშთი განთავსებულია ფინანსურ ინსტიტუტებში, რომლებსაც დეპონირების თარიღისთვის ჰქონდათ დეფოლტის მინიმალური რისკი.

(ბ) საბაზრო რისკი

„კომპანიაზე“ ზემოქმედებას ახდენს საბაზრო რისკი, რომელიც ძირითადად შეეხება „კომპანიისათვის“ დადგენილ ტარიფებს და ზემოქმედებას ახდენს შესასყიდი ელექტროენერჯის ფასზე და აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ მონაწილეობს ამ ტარიფების გარკვეული დონების დადგენაში, ტარიფის დონის დადგენასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები მის კონტროლს არ ექვემდებარება. „კომპანიამ“ ხელი მოაწერა მემორანდუმს სეწმეკ-თან, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაყიდვის ტარიფი „კომპანიისთვის“ 2015 წლამდე უცვლელი დარჩება.

გარდა ამისა, „კომპანიას“ აქვს ღია პოზიცია პროცენტული განაკვეთის და სავალუტო პოზიციის მიმართ, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზრის ზოგადი და სპეციფიკური ცვლილებები.

(გ) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ძირითადი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება მოქმედებს „კომპანიის“ ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

ლარის კურსის დაცემის/ზრდის შემთხვევაში აშშ დოლარის მიმართ, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობით, მოგება ყველა გადასახადების გადახდის შემდეგ 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეიცვლება და შემდეგნაირად:

	გამყარება	შესუსტება
2011		
USD (9.05% ცვლილება)	9,517	(9,517)
2010		
USD (7.15% ცვლილება)	6,621	(6,621)

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

27 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(გ) სავალუტო რისკი (გაგრძელება)

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობის გამო, ხელმძღვანელობა ვერ ახორციელებს სავალუტო რისკის ჰეჯირებას.

„კომპანია“ აქვს შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში:

	დენომინირებული აშშ დოლარში 2011	2010
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,746	3,005
პროცენტებიანი სესხები	(93,135)	(76,905)
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	(2,874)	(2,874)
„მშობელი კომპანიისთვის“ გადასახდელი თანხები	(14,892)	(15,824)
ნეტო-პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	(105,155)	(92,598)

(დ) კაპიტალთან დაკავშირებული რისკის მართვა

„კომპანიის“ კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზანი 2011 წლამდე იყო საკუთარი კაპიტალის დადებითი ბალანსის მიღწევა. კაპიტალის დეფიციტი დაგროვებულ იქნა „კომპანიის“ მიერ წინა პერიოდებში მიღებული ზარალის გამო. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ საკუთარმა კაპიტალმა შეადგინა 45,666 ლარი. ამჟამად „კომპანია“ კაპიტალის მართვის პოლიტიკის შემუშავების პროცესშია, ვინაიდან მან 2011 წლის 31 დეკემბრისთვის მიაღწია მიზანს, რომ დაეგროვებინა საკმარისი დადებითი კაპიტალი.

(ე) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას ადეკვატური საკრედიტო თანხების საშუალებით. „კომპანიის“ მიმდინარე ვალდებულებები ძირითადად დაკავშირებული მხარეების მიმართაა. „კომპანიის“ ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ანიჭებს „კომპანიას“ საკმარის მოქნილობას დაფარვის ვადებთან მიმართებით, რაც მომავალში აუცილებელია ბიზნესში ადეკვატური ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. ვადების ცხრილში გახსნილი თანხები წარმოადგენს ფულადი სახსრების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ნაკადებს.

გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ანალიზი, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
პროცენტებიანი სესხები, გაცემული გადასახ- დელი თამასუქები	4,234	34,452	43,193	943,904	1,025,783
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	139	139	418	132,964	133,660
	93,366	-	-	-	93,366
სულ მომავალი გადახდები	97,739	34,591	43,611	1,076,868	1,252,809

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

27 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(ე) ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ანალიზი, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
პროცენტუანი სესხები	14,167	40,539	32,364	987,359	1,074,429
გაცემული გადასახ- დელი თამასუქები	139	139	418	133,245	133,941
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	125,209	-	-	-	125,209
სულ მომავალი გადახდები	139,515	40,678	32,782	1,120,604	1,333,579

როგორც ეს ცხრილიდან ჩანს, „კომპანიას“ აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის ვალდებულებები, რომლებიც უნდა დაიფაროს ერთი წლის განმავლობაში დაწყებული 2011 წლის 31 დეკემბრიდან. იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია „კომპანიას“ თავისი საქმიანობის უწყვეტად გაგრძელება, დეტალური ანალიზი იხილეთ მე-3 შენიშვნაში.

(ვ) პროცენტულ განაკვეთთან დაკავშირებული რისკი

პროცენტულ განაკვეთთან დაკავშირებული რისკი გამოიხატება „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის უარყოფით ზეგავლენაში, რაც აისახება მოზიდულ ფინანსურ საშუალებებზე დარიცხული პროცენტების ზრდით ან გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან მიღებული მოგების შემცირებით. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია“ მოზიდულ დაფინანსებასთან დაკავშირებით ექვემდებარება პროცენტულ განაკვეთთან დაკავშირებულ რისკს, რადგან EBRD-ისგან მიღებულ სესხს აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი (შენიშვნა 23). დეპოზიტებსა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავლები უმნიშვნელოა.

მოცემული ცხრილი აჩვენებს სესხებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებში შესაძლო ცვლილებების ეფექტს „კომპანიის“ გადასახადებამდე არსებულ მოგებაზე, სხვა ფაქტორების უცვლელი პირობით:

	ზრდა/კლება ერთეულებში	საბაზისო ეფექტი მოგებაზე	გადასახადებამდე მოგებაზე
2011	+/-60	(501)/501	

28 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის კომერციული გარიგების დროს. მაგრამ განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების დაფარვით.

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

28 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

„კომპანია“ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ანალიზი შესაძლებელია შემდგენიარად:

	31 დეკემბერი 2011		31 დეკემბერი 2010	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რესტრუქტურირებულის ჩათვლით (შენიშვნა 18)	39,361	39,361	38,254	38,254
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 21)	21,252	21,252	15,244	15,244
სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 18)	519	519	476	476
ფინანსური ვალდებულებები				
პროცენტული სესხები (შენიშვნა 23)	93,797	102,472	77,647	86,487
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 25)	93,366	93,366	125,209	125,209

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო დებიტორული დავალიანების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული და დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულებისა, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- ▶ რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულების, ვინაიდან მათი დისკონტირება ხორციელდება მოქმედი ბაზრის განაკვეთით აღიარების დროს და ხანგრძლივობა არის 2 წელზე ნაკლები;
- ▶ პროცენტული სესხების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშო თარიღისათვის არსებული განაკვეთების გამოყენებით.

29 პირობითი ვალდებულებები

(ა) სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

2011 და 2010 წლებში „კომპანია“ სახელმწიფოსგან მიიღო რამდენიმე მაღალი ძაბვის ქვე-სადგური ნომინალურ ღირებულებით. 2011 წელს მიღებული აქტივების სამართლიანი ღირებულება შეადგენდა 122 ლარს (2010: 480 ლარი). „კომპანია“ ვალდებულია, 2014 წლის ბოლომდე რეაბილიტაცია ჩაუტაროს აღნიშნულ აქტივებს. სარეაბილიტაციო სამუშაოების მოცულობა და ღირებულება არ არის დადგენილი გრანტის პირობებში.

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის №967 დადგენილების თანახმად „კომპანია“ სახელმწიფოსგან მიიღო დაბალი ძაბვის სატრანსფორმატორო სადგურები შესაბამისი ინფრასტრუქტურის თანხლებით, და გარკვეული ელექტროენერჯის გადამცემი მოწყობილობა, რომლის საერთო სამართლიანი ღირებულება შეადგენს 1,952 ლარს ნომინალური კომპენსაციის სანაცვლოდ. „კომპანია“ ვალდებულია, 2015 წლის ბოლომდე რეაბილიტაცია ჩაუტაროს აღნიშნულ აქტივებს. სარეაბილიტაციო სამუშაოების მოცულობა და ღირებულება არ არის დადგენილი გრანტის პირობებში.

2010 წელს „კომპანია“ სახელმწიფოსგან მიიღო ელექტროენერჯის გადამცემი ინფრასტრუქტურა, რომლის საერთო სამართლიანი ღირებულება შეადგენს 942 ლარს (3G ქსელი). „კომპანია“ ვალდებული იყო ჩატარებინა აღნიშნული ქსელის რეაბილიტაცია, რომელიც „კომპანია“ დაასრულა და დასრულებასთან დაკავშირებული შესაბამისი ანგარიში წარადგინა შესაბამის სახელმწიფო ორგანოში 2011 წლის 11 იანვარს. რეაბილიტაციასთან დაკავშირებულმა მთლიანმა საინვესტიციო თანხამ შეადგინა 728 ლარი.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

29 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

(ა) სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

„კომპანია“ და ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად 2011 წლის 12 ივლისს „კომპანია“ მიიღო 2,500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის სამართლიანი ღირებულება არის 8 ლარი. „კომპანია“ ვალდებულია დააბანდოს არა ნაკლებ 2,000 ლარისა მაღალი ძაბვის ქვესადგურის ასაშენებლად 2014 წლის 12 იანვრამდე. ამ გრანტის ფარგლებში არსებული „კომპანიის“ ვალდებულება უზრუნველყოფილია შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ მიერ.

მანეჯმენტი მიიჩნევს, რომ არსებობს ზომიერი რწმუნებულება იმისა, რომ ის დააკმაყოფილებს ყველა ზემოთ ხსენებულ პირობას. ამიტომ, „კომპანია“ აღიარა აღნიშნული გრანტი.

(ბ) კაპიტალურ დაბანდებებთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

2011 წლის 31 მარტს „საბოლოო მშობელ კომპანია“ და საქართველოს ხელისუფლებას შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს ელექტროენერჯის სფეროში თანამშრომლების განვითარებისა და არსებული ხელშეკრულებების განხორციელების შესახებ. მემორანდუმის საფუძველზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ „კომპანია“ დააბანდებს არა ნაკლებ 376.4 მილიონი ლარისა თბილისში ელექტროენერჯის ინფრასტრუქტურის განვითარებაში 2011-2025 წლებში. 2011 წლისათვის დადგენილი ინვესტიციის მოცულობა შეადგენდა 30.4 მილიონ ლარს, ხოლო 2012 წლისათვის - 30 მილიონ ლარს. „კომპანია“ შეასრულა 2011 წლისათვის ნაკისრი ვალდებულებები და თვლის, რომ მომავალშიც ასევე წარმატებით შეასრულებს მათ. სანაცვლოდ „კომპანიას“ აქვს იმის გარანტია, რომ არსებული ტარიფები არ შემცირდება ამ პერიოდის განმავლობაში.

11.ბ შენიშვნის შესაბამისად, „კომპანია“ ვალდებულია დაასრულოს ელექტროენერჯის ქსელის რეაბილიტაცია და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში მცხოვრები 9,618 აბონენტის გამრიცხველიანება. 2011 წლის 31 დეკემბრისთვის „კომპანია“ დაასრულა აღნიშნული პროექტი და ჩააბარა შესაბამისი ანგარიში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მაგრამ სამინისტროს ჯერჯერობით არ მიუღია შესრულებული სამუშაოები და არ გაუთავისუფლებია „კომპანია“ დაკისრებული ვალდებულებებისგან. ინვესტირებულმა თანხამ 3,332 ლარი შეადგინა.

„საბოლოო მშობელი კომპანიის“ მოთხოვნის შესაბამისად „კომპანიამ“ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც უნდა შეესრულებინა ტექნიკური კვლევა და საპროექტო სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ჰიდროელექტროსადგურ „ხრამჭესი 3“-ის მშენებლობასთან. კონტრაქტის მთლიანი თანხა შეადგენს 10,000 ლარს, რომელიც მეტწილად უნდა დაფინანსდეს 2012 წელს. „კომპანიის“ მიერ აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურის ფლობა არ არის დაგეგმილი. დეტალები აღნიშნული სამუშაოების შესრულებისთვის გაწეული ხარჯების „კომპანიისთვის“ ანაზღაურების შესახებ ჯერჯერობით არ არის დადგენილი.

(გ) დავები

„კომპანიის“ საქმიანობის ნორმალური მიმდინარეობისას „კომპანია“ წარმოადგენს მხარეს სასამართლო პროცესებში. ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, ხელმძღვანელობა არ არის ინფორმირებული რაიმე ფაქტობრივი, მიმდინარე ან მოსალოდნელი სარჩელების შესახებ, რომლებსაც შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს „კომპანიაზე“.

აბონენტთა საჩივრები

სულ დავები

31 დეკემბერი 2011		31 დეკემბერი 2010	
დავები და სარჩელები, რომლებზეც აღიარებულია ანარიცხვები (შენიშვნა 10)	დავები და სარჩელები ანარიცხვების გარეშე	დავები და სარჩელები, რომლებზეც აღიარებულია ანარიცხვები (შენიშვნა 10)	დავები და სარჩელები ანარიცხვების გარეშე
837	110	669	394
837	110	669	394

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

29 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

(დ) გადავადებული დღე

როგორც ეს განხილულია 26 შენიშვნაში, 2011 წლის 31 დეკემბერს არსებული 5,818 ლარი (2010: 6,545 ლარი) წარმოადგენს გადავადებულ გადასახდელ დამატებითი ღირებულების გადასახადს. გადავადებული დღე წარმოიშვა 2006 წლამდე არსებულ პერიოდებში, როცა ელექტროენერჯის სადისტრიბუციო კომპანიები დღე-ს იხდიდნენ მომხმარებლებისგან თანხის ამოღების და არა შემოსავლის აღიარების დროს. შესაბამისად, ის დაკავშირებულია იმ დებიტორულ დავალიანებასთან, რომელიც წარმოიშვა 2006 წლამდე. ამ მომხმარებელთა მნიშვნელოვან ნაწილს „კომპანია“ ამჟამად ემსახურება და ისინი რეგულარულად იხდიან ელექტროენერჯის მიწოდებისგან წარმოშობილ მიმდინარე ვალდებულებებს. ამ მომხმარებლებისგან მიღებულ თანხებს „კომპანია“ ანაწილებს მიმდინარე და ძველ დებიტორულ დავალიანებებს შორის. გადანაწილების დროს „კომპანია“ უპირველესად ფარავს მიმდინარე დებიტორულ დავალიანებებს და მხოლოდ ზედმეტად გადახდილ ნაწილს მიმართავს ძველი დებიტორული დავალიანების დასაფარად. არ არსებობს კონკრეტული წესი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს აღნიშნული გადანაწილება. „კომპანია“ მიიჩნევს, რომ მას აქვს საკმარისი საფუძველი დაასკვნას, რომ მის მიერ გამოყენებული გადანაწილების წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. თუმცა, თუ ამგვარ პოზიციას შეედავება საგადასახო ორგანოები და გადანაწილების მეთოდი შეიცვლება „კომპანიის“ საზიანოდ, „კომპანია“ ვალდებული იქნება ცვლილებები შეიტანოს ადრე შევსებულ დღე-ს დეკლარაციებში და გადაიხადოს შესაბამისი ჯარიმები და საურავები დღე-ს დაგვიანებით გადახდის გამო. ამჟამად შეუძლებელია განისაზღვროს შესაძლო ჯარიმებისა და საურავების მოცულობა, თუ თანხების გადანაწილების წესში ცვლილება იქნება მოთხოვნილი საგადასახადო ორგანოების მიერ.

(ე) სხვა პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს „კომპანიის“ ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე. საბალანსო ანგარიშის თარიღისათვის ხელმძღვანელობის მიერ იდენტიფიცირებული შესაძლო ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება გახდეს საგადასახადო ორგანოების განსახვავებული ინტერპრეტაციის საგანი და არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, შეადგენს დაახლოებით 500 ლარს.

„კომპანიის“ საბუღალტრო ჩანაწერები, ღია საგადასახადო შემოწმებისათვის 6 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გადასახადებთან დაკავშირებული ყველა პრეტენზია ხანდაზმულად უნდა იქნეს მიჩნეული.

(ვ) პირობითი ვალდებულებები გადამცემი ხაზების ფლობასა და მიწით სარგებლობასთან დაკავშირებით

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს კონკრეტულ დებულებებს „კომპანიის“ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით, რომლებზეც განლაგებულია ელექტროენერჯის გადაცემის დანადგარები. კანონის შემდგომ დაზუსტებამდე, შესაძლებელია „კომპანიას“ მოუწიოს გარკვეულ მიწის ნაკვეთებზე მფლობელობის მოპოვება ან იჯარის გადახდა სხვა მხარეებისათვის გარკვეული მიწის ნაკვეთებით სარგებლობის საწინააღმდეგოდ.

„კომპანია“ თავის ქსელურ ობიექტებზე წვდომისათვის სარგებლობს მიწის ნაკვეთებით, რომლებიც სხვა მხარეების საკუთრებაა, რაც წარმოშობს სერვიტუტის ურთიერთობებს მიწის მფლობელთან. საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე ძალიან სწრაფად იცვლება სიტუაცია და „კომპანიის“ მიმართ წარსულში წაყენებული კონკრეტული პრეტენზიები მიუთითებს, რომ მომსახურება სერვიტუტის უფლებებთან დაკავშირებით „კომპანიას“ შეიძლება დაეკისროს გადასახადები, როგორც მიმდინარე, ისე წინა პერიოდებისთვის.

ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შეუძლებელია რაიმე დამატებითი ხარჯის გამოანგარიშება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება „კომპანიას“ დაეკისროს ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე და, შესაბამისად, არ არის შექმნილი ანარიცხები ასეთი პოტენციური ვალდებულებებისთვის.

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

29 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

(ზ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. „კომპანია“ პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „კომპანიას“ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

30 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) გარიგებები ხელმძღვანელობასთან

სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც თერთმეტი წევრისაგან შედგება და უმაღლესი ხელმძღვანელობის, რომელიც შვიდი წევრისგან შედგება, ანაზღაურება მოიცავდა ხელფასსა და სხვა დამატებით მოკლევადიან სარგებელს 33 ლარისა და 3,064 ლარის ოდენობით, შესაბამისად (2010: 33 ლარი და 2,767 ლარი, შესაბამისად).

(ბ) გარიგებები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

„კომპანიის“ მიერ დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ყველა გარიგება დადებულია საერთო კონტროლის ქვეშ არსებულ ორგანიზაციებთან და აღწერილია ქვემოთ:

(i) ელექტროენერჯისა და მომსახურების შესყიდვა

	შესყიდვები 2011	შესყიდვები 2010	გადასახდელი თანხები 2011	გადასახდელი თანხები 2010
<i>ელექტროენერჯის შესყიდვა:</i>				
შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“	51,052	15,934	39,984	72,663
სს „ხრამჭესი 1“	6,777	6,625	3,310	3,213
სს „ხრამჭესი 2“	14,159	13,311	1,274	1,396
TGR Energy Electricity Trade Co	-	287	2,979	3,162
<i>მმართველობითი და ტექნიკური მომსახურების გადასახადი:</i>				
„მშობელი კომპანია“	-	-	14,892	15,824

ელექტროენერჯის შესყიდვა ხდება შპს „მტკვარი ენერჯეტიკის“, სს „ხრამჭესი 1-სა“ და სს „ხრამჭესი 2“-დან ელექტროენერჯის რეგულირებული ტარიფებით და აქედან გამომდინარე შეესაბამება საბაზრო ფასს.

შპს „მტკვარი ენერჯეტიკის“ მიმართ არსებული ვალდებულება 30,220 ლარის ოდენობით არის გადაგადაცილებული 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2010: 66,220 ლარი). ეს ვალდებულებები დაგროვილია წინა პერიოდებში, როცა „კომპანია“ ვერ გამოიმუშავებდა საკმარის ფულს იმისათვის, რომ გადაეხადა მომწოდებლისთვის. 2011 წელს, შპს „მტკვარი ენერჯეტიკის“ მოთხოვნის შესაბამისად, „კომპანიამ“ გადაიხადა დავალიანება 36,300 ლარის ოდენობით. თანხების გადახდა განხორციელდა, რათა დახმარება გაეწიათ „საბოლოო მშობელი კომპანიისთვის“ ბიზნეს კომბინაციების განხორციელებაში 2011 წელს.

TGR Energy Electricity Trade Co-ის (“TGR Energy”) მიმართ 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დავალიანება დაკავშირებულია 2009 წელს მოწოდებულ ელექტროენერჯისათან. ხელშეკრულების თანახმად, TGR Energy-ის აქვს ორი შესაძლო არჩევანი ვალდებულების მიღებასთან დაკავშირებით, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ხელშეკრულების შეწყვეტამდე:

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

30 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

- ▶ არჩევანი 1: მოითხოვოს 1,621,000 აშშ დოლარის გადახდა ნაღდი ფულის სახით (2,708 ლარი);
- ▶ არჩევანი 2: მოითხოვოს 66 მილიონი კვტსთ ელექტროენერჯის მიღება ექსპორტისთვის.

იმ შემთხვევაში თუ მხარეები წინასწარ არ შეატყობინებენ ერთმანეთს, ხელშეკრულების ვადა 2011 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ყოველთვის ავტომატურად გაგრძელდება ერთი წლით. თუ ხელშეკრულების ვადა არ გახანგრძლივდება, არსებული დავალიანებები უნდა იქნეს გადახდილი ნაღდი ფულით.

„კომპანია“ ეს ვალდებულება აღიარა, როგორც მოგებასა და ზარალში ასახული სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება, რადგან არსებული ხელშეკრულება წარმოშობს ფინანსურ ვალდებულებას ჩართული წარმოებული ინსტრუმენტით. „კომპანია“ გადაწყვიტა, რომ არ გამოეცალკავებინა წარმოებული ინსტრუმენტი და მთლიანი ინსტრუმენტი შეეფასებინა სამართლიანი ღირებულებით. ხელმძღვანელობა ვალდებულებას აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. „კომპანია“ იყენებს მესამე დონის იერარქიას ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების დასადგენად. ეს მეთოდი იყენებს ისეთ ინფორმაციას რომელთაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და რომლებიც არ არის დაფუძნებული ბაზარზე არსებულ ინფორმაციაზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის მქონე სავაჭრო კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის გამოყენებულ მთავარ დაშვებებს. მასში ასევე მოცემულია სავაჭრო კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულების შესახებ დაშვებების შესაძლო ცვლილებების გავლენა, თუ ყველა სხვა პარამეტრი უცვლელი დარჩება:

		2011		2010	
		სავაჭრო კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულების კლება		სავაჭრო კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულების კლება	
გამოყენებული მნიშვნელობა	მოსალოდნელი ცვლილება	გამოყენებული მნიშვნელობა	მოსალოდნელი ცვლილება	გამოყენებული მნიშვნელობა	მოსალოდნელი ცვლილება

მეორე არჩევნის გამოყენების ალბათობა	5%	5 % ზრდა	348	5%	5% ზრდა	515
-------------------------------------	----	----------	-----	----	---------	-----

2011 წლის განმავლობაში არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილება შეფასებებში, 2010 წელთან შედარებით.

(ii) ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ

გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულება 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს TGR Energy Electricity Trade Co-სთვის გადახდილ 1,617 ლარს (2010: 1,617 ლარს) ელექტროენერჯის მოწოდებისთვის, რომელიც არ ყოფილა განხორციელებული.

(iii) სესხები

საპროცენტო ხარჯი 2011	საპროცენტო ხარჯი 2010	გადასახდელი თანხები 2011	გადასახდელი თანხები 2010
-----------------------	-----------------------	--------------------------	--------------------------

პროცენტო სესხები:

„მშობელი კომპანია“ (შენიშვნა 23)	7,421	6,884	45,076	45,103
----------------------------------	-------	-------	--------	--------

სს „თელასი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

„კომპანიამ“ აღიარა ფინანსური შემოსავალი 4,840 ლარის (2010: 1,460 ლარის) ოდენობით, რომელიც წარმოიშვა „მშობელი კომპანიისგან“ აღებულ სესხთან დაკავშირებული გათვლების ხელახალ შეფასებასთან (შენიშვნები 23 და 14).

სააქციო საზოგადოება „თელასი“

წლიური ანგარიში
2010 წლის განმავლობაში
შესრულებული სამუშაოს შედეგების
მიხედვით

სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარე



ნ.ა. ზავრაჭნოვი

გენერალური დირექტორი



ი.კ. კიკნაძე

შინაარსი

გვ.

თავი I.	ზოგადი ცნობები	3
1.1.1.	საზოგადოების მოკლე ისტორია.....	3
თავი II.	საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა.....	3
2.1.	ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესახებ, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
თავი III.	საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობა	6
თავი IV.	წლიური ანგარიშის დანართი №1. 2010 წლის არაკონსოლიდირებული ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშგება (ფასს).....	9
თავი V.	სააქციო საზოგადოება «თელასის» სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	27

თავი I .ზოგადი ცნობები

1.1. საზოგადოების მოკლე ისტორია

თბილისის ელექტროქსელი („თბილელექტროქსელი“), რომელსაც აკონტროლებდა თბილისის საქალაქო საბჭო, დაფუძნდა 1937 წელს, ორი ფუნქციით - ტექნიკური და კომერციული. „თბილელექტროქსელი“ ელექტროენერჯიას იღებდა გენერაციის ერთი ობიექტიდან - ზაჰესიდან, რომელიც აშენდა გოელრო-ს გეგმის შესაბამისად.

1965 წელს სსრკ-ის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს გადაწყვეტილებით, „თბილელექტროქსელის“ კომერციული ფუნქციები გადაეცა საქენერგოს. თუმცა, ამ პერიოდში აღინიშნა ფულადი სახსრების შეგროვების მნიშვნელოვანი შემცირება და 1968 წელს კომერციული ფუნქციები ისევ დაუბრუნდა „თბილელექტროქსელს“.

1993 წლის 7 ოქტომბრიდან „თბილელექტროქსელი“ გახდა თბილისის საქალაქო საბჭოსთან არსებული მუნიციპალური საწარმო.

სააქციო საზოგადოება „თელასი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წ. 14 აპრილის № 228 დადგენილების „სახელმწიფო საწარმოთა და სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის შესახებ“ და თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის 1998 წლის 6 მაისის №1-3/188 ბრძანებულების თანახმად.

საზოგადოების აქციათა 75% მფლობელია „Silk Road Holdings B.V.“ - INTER RAO Holding B.V.-ს შვილობილი კომპანია, რომლის ერთადერთი აქციონერია ღსს „ინტერ რაო ეეს“-ი.

საზოგადოება ახორციელებს საქმიანობის შემდეგ ძირითად სახეობებს:

- საქმიანობა ელექტროენერჯიის გასაღების დარგში (შესყიდვა და გაყიდვა);
- საწარმო-ტექნიკური საქმიანობა (ელექტრული ქსელების მომსახურება და ექსპლუატაცია);
- ელექტროენერჯიის ტრანზიტის მომსახურება;
- აბონენტთა ტექნიკური მომსახურება;
- გარე სერვისის ორგანიზაციებისათვის ბილინგსა და მოსაკრებლების შეგროვებასთან

დაკავშირებული მომსახურების გაწევა.

მომხმარებელთა მომსახურება და ელექტროქსელის ექსპლუატაცია ხორციელდება აბონენტთა მომსახურების 15 ცენტრში, 2 საექსპლუატაციო უბანში, 10 საექსპლუატაციო რაიონში, რომლებიც განთავსებულია ქალაქის ყველა ადმინისტრაციულ ცენტრში.

თავი II. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

აქციონერთა საერთო კრების (29.06.2010) გადაწყვეტილების შესაბამისად, უფლებამოსილება შეუწყდა სს „თელასი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ალექსანდრე ევგენის ძე ვაგნერს. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულ იქნა სერგეი ნიკოლოზის ძე ტოლსტოგუზოვი.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭო, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ზავრაჟნოვი ანდრეი ალექსანდრეს ძე- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
2. ჭინჭარაული თემურ გრიგოლის ძე -სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
3. ტოლსტოგუზოვი სერგეი ნიკოლოზის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
4. ბობრიშვი მიხეილ ვასილის ძე- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
5. იშხნელი ლაშა - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
6. სალიმოვა ნატალია ვლადიმერის ასული - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

2.1. ინფორმაცია „სს თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესახებ

ზაგრაჟნოვი ანდრეი ალექსანდრეს ძე-სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



დაბადების წელი: 1975
 მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
 ძირითადი სამუშაო ადგილი: ლსს «ინტერ რაო ეეს»
 განათლება: დაამთავრა მოსკოვის ფოლადის და შენადნობების ინსტიტუტი

თანამდებობა: ლსს „ინტერ რაო ეეს“-ის გეოგრაფიული დივიზიონის „ამიერკავკასია, თურქეთი და ახლო აღმოსავლეთი“ ხელმძღვანელი
 24.12.2009

სამეთვალყურეო საბჭოში პირველი არჩევის თარიღი
 წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, %
 სს „თელასის“ აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, %
 ინფორმაცია გარიგებათა შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს წევრსა და საზოგადოებას შორის
 ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შესახებ

გარიგებები არ დადებულა
 სარჩელი შეტანილი არ ყოფილა

ჭინჭარაული თემურ გრიგოლის ძე-სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე



დაბადების წელი: 1944
 მოქალაქეობა: საქართველო
 ძირითადი სამუშაო ადგილი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 განათლება: დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 თანამდებობა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

სამეთვალყურეო საბჭოში პირველი არჩევის თარიღი
 წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, %
 სს „თელასის“ აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, %
 ინფორმაცია გარიგებათა შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს წევრსა და საზოგადოებას შორის
 ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შესახებ

გარიგებები არ დადებულა
 სარჩელი შეტანილი არ ყოფილა

ტოლსტოგუზოვი სერგეი ნიკოლოზის ძე -სამეთვალყურეო საბჭოს წევრი



დაბადების წელი: 1964
 მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
 ძირითადი სამუშაო ადგილი: ლსს «ინტერ რაო ეეს»
 განათლება: დაამთავრა მაგნიტოგორსკის გ.ი.ნოსოვის სახ. სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი
 თანამდებობა: გამგეობის წევრი, ლსს „ინტერ რაო ეეს“-ის აქტივების მართვის ბლოკის ხელმძღვანელი

სამეთვალყურეო საბჭოში პირველი არჩევის თარიღი
 წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, %
 სს „თელასის“ აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, %
 ინფორმაცია გარიგებათა შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს წევრსა და საზოგადოებას შორის
 ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შესახებ

10.08.2007
 გარიგებები არ დადებულა
 სარჩელი შეტანილი არ ყოფილა

ბობრიშვი მიხეილ ვასილის ძე-სამეთვალყურეო საბჭოს წევრი



დაბადების წელი:
მოქალაქეობა:
ძირითადი სამუშაო ადგილი:
განათლება:
თანამდებობა:

1973
რუსეთის ფედერაცია
დსს „ინტერ რაო ეეს“
დაამთავრა მოსკოვის იურიდიული აკადემია
დსს „ინტერრაოეეს“-ის გეოგრაფიული დივიზიონის „ამიერკავკასია, თურქეთი და აა“
ხელმძღვანელის მოადგილე

სამეთვალყურეო საბჭოში პირველი არჩევის თარიღი
წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, %
სს „თელასის“ აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, %
ინფორმაცია გარიგებათა შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს
წევრსა და საზოგადოებას შორის
ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის წინააღმდეგ
სარჩელის შეტანის შესახებ

24.12.2009
0
0
გარიგებები არ დადებულია
სარჩელი შეტანილი არ ყოფილა

იშხნელი ლაშა- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი



დაბადების წელი:
მოქალაქეობა:
ძირითადი სამუშაო ადგილი:
განათლება:
თანამდებობა:

1971
საქართველო
შპს „საქართველოს ფოსტა“
დაამთავრა ჯულიანდის სკოლა,
ნიუ იორკი, აშშ
გენერალური დირექტორი

სამეთვალყურეო საბჭოში პირველი არჩევის თარიღი
წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, %
სს „თელასის“ აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, %
ინფორმაცია გარიგებათა შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს
წევრსა და საზოგადოებას შორის
ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის წინააღმდეგ
სარჩელის შეტანის შესახებ

11.03.2009
0
0
გარიგებები არ დადებულია
სარჩელი შეტანილი არ ყოფილა

სალიმოვა ნატალია ვლადიმერის ასული - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი



დაბადების წელი:
მოქალაქეობა:
ძირითადი სამუშაო ადგილი:
განათლება:
თანამდებობა:

1978
რუსეთის ფედერაცია
დსს „ინტერ რაო ეეს“
დაამთავრა ეკონომიკის სტატისტიკისა და
ინფორმატიკის მოსკოვის უნივერსიტეტი
დსს „ინტერ რაო ეეს“-ის კორპ. და ქონებრივი
ურთიერთობების ბლოკის კორპ. მართვის
დირექციის ხელმძღვანელი

სამეთვალყურეო საბჭოში პირველი არჩევის თარიღი
წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, %
სს „თელასის“ აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, %
ინფორმაცია გარიგებათა შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს
წევრსა და საზოგადოებას შორის
ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის წინააღმდეგ
სარჩელის შეტანის შესახებ

24.12.2009
0
0
გარიგებები არ დადებულია
სარჩელი შეტანილი არ ყოფილა

2010 წლის განმავლობაში საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს საზოგადოების აქციებთან დაკავშირებით არ განუხორციელებიათ გარიგებები.

თავი III. საზოგადოების აღმასრულებელ ორგანოთა შემადგენლობა

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებებს ახორციელებს გენერალური დირექტორი. კოლევიალური აღმასრულებელი ორგანო გათვალისწინებული არ არის.

გენერალური დირექტორი ახორციელებს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობას, საზოგადოების ყოველდღიურ მართვას და საზოგადოების წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს. სამეთვალყურეო საბჭო გენერალურ დირექტორთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებას, სადაც ინდივიდუალურად განისაზღვრება გენერალური დირექტორის უფლებამოსილებათა ფარგლები, უფლებები და მოვალეობები. გენერალური დირექტორის ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №10, საზოგადოების გენერალურ დირექტორად დანიშნულია პიმონოვი იური პავლეს ძე.

ინფორმაცია სს „თელასის“ გენერალური დირექტორისა და აღმასრულებელი დირექციის წევრთა შესახებ

სს „თელასის“ აღმასრულებელი დირექცია, 31.12.2010 წლის მდგომარეობით

1. იური პავლეს ძე პიმონოვი - გენერალური დირექტორი
- მამუკა იგორის ძე ქობალია – ტექნიკური დირექტორი
3. ედუარდ სერგეის ძე ოგანესიანი – ფინანსური დირექტორი
4. დავით იურის ძე ქართველიშვილი – კომერციული დირექტორი
- ვლადიმერ შოთას ძე ძნელაძე – ლოგისტიკის დირექტორი
6. სოსო ვახტანგის ძე კაკულია - კორპორაციული დირექტორი
- ვლადიმერ ლეონიდის ძე შატიროვი – უშიშროების დირექტორი

პიმონოვი იური პავლეს ძე - გენერალური დირექტორი



დაბადების წელი:
 მოქალაქეობა:
 ძირითადი სამუშაო ადგილი:
 განათლება:
 თანამდებობა:

1955
 რუსეთის ფედერაცია
 სააქციო საზოგადოება „თელასი“
 დაამთავრა ნოვოჩერკასკის პოლიტექნიკური
 ინსტიტუტი
 გენერალური დირექტორი

პირველად დამტკიცდა ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობაზე
 წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, %
 სს „თელასის“ აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, %

27.10.2005

0

0

ოგანესიანი ედუარდ სერგეის ძე – ფინანსური დირექტორი



დაბადების წელი:
მოქალაქეობა:
ძირითადი სამუშაო ადგილი:
განათლება:
თანამდებობა:

1974
საქართველო
სააქციო საზოგადოება „თელასი“
დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური
ინსტიტუტი
ფინანსური დირექტორი

10.09.2007

პირველად დამტკიცდა ერთპიროვნული აღმასრულებელი
ორგანოს თანამდებობაზე
წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, %
სს „თელასის“ აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, %

0
0

ქობალია მამუკა იგორის ძე – ტექნიკური დირექტორი



დაბადების წელი:
მოქალაქეობა:
ძირითადი სამუშაო ადგილი:
განათლება:
თანამდებობა:

1963
საქართველო
სააქციო საზოგადოება „თელასი“
დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური
ინსტიტუტი
ტექნიკური დირექტორი

17.11.2006

პირველად დამტკიცდა ერთპიროვნული აღმასრულებელი
ორგანოს თანამდებობაზე
წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, %
სს „თელასის“ აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, %

0
0

ქართველიშვილი დავით იურის ძე – კომერციული დირექტორი



დაბადების წელი:
მოქალაქეობა:
ძირითადი სამუშაო ადგილი:
განათლება:
თანამდებობა:

1973
საქართველო
სააქციო საზოგადოება „თელასი“
დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი
კომერციული დირექტორი

01.11.2006

პირველად დამტკიცდა ერთპიროვნული აღმასრულებელი
ორგანოს თანამდებობაზე
წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, %
სს „თელასის“ აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, %

0
0

ძნელაძე ვლადიმერ შოთას ძე – ლოგისტიკის დირექტორი



დაბადების წელი:
მოქალაქეობა:
ძირითადი სამუშაო ადგილი:
განათლება:
თანამდებობა:

1970
საქართველო
სააქციო საზოგადოება „თელასი“
დაამთავრა დამოუკიდებელი ინსტიტუტი
„ეგრისი“
ლოგისტიკის დირექტორი:
03.01.2007

პირველად დამტკიცდა ერთპიროვნული აღმასრულებელი
ორგანოს თანამდებობაზე
წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, %
სს „თელასის“ აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, %

0
0

კაკულია სოსო ვახტანგის ძე - კორპორაციული დირექტორი



დაბადების წელი:
მოქალაქეობა:
ძირითადი სამუშაო ადგილი:
განათლება:
თანამდებობა:

1950
საქართველო
სააქციო საზოგადოება „თელასი“
დაამთავრა მოსკოვის ენერგეტიკული
ინსტიტუტი
კორპორაციული დირექტორი

04.03.2009

პირველად დამტკიცდა ერთპიროვნული აღმასრულებელი
ორგანოს თანამდებობაზე
წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, %
სს „თელასის“ აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, %

0
0

შატროვი ვლადიმერ ლეონიდის ძე – უშიშროების დირექტორი



დაბადების წელი:
მოქალაქეობა:
ძირითადი სამუშაო ადგილი:
განათლება:
თანამდებობა:

1953
რუსეთის ფედერაცია
სააქციო საზოგადოება „თელასი“
დაამთავრა კასპისკის ს.მ.კიროვის სახელობის
საზღვაო სასწავლებელი
უშიშროების დირექტორი

17.05.2007

პირველად დამტკიცდა ერთპიროვნული აღმასრულებელი
ორგანოს თანამდებობაზე
წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, %
სს „თელასის“ აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, %

0
0

2010 წლის განმავლობაში საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოების წევრებს საზოგადოების
პქციებთან დაკავშირებით არ განუხორციელებიათ გარიგებები.

თავი IV. წლიური ანგარიშის დანართი №1 – 2010 წლის არაკონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასს



ERNST & YOUNG

Ernst & Young LLC
Kole Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia

Te: +995 (32) 43 9375
Fax: +995 (32) 43 9376
www.ey.com/georgia

შპს ერნსტ ენდ იანგი
საქართველო, 0105 თბილისი
კოლე აფხაზის ქუჩა 44

ტელ: +995 (32) 43 9375
ფაქსი: +995 (32) 43 9376

Independent auditors' report to the shareholders and management of JSC Telasi

We have audited the accompanying financial statements of JSC Telasi, which comprise the statement of financial position as at 31 December 2010, and the statement of comprehensive income, statement of changes in equity and cash flow statement for the year then ended, and a summary of significant accounting policies and other explanatory information.

Management's responsibility for the financial statements

Management is responsible for the preparation and fair presentation of these financial statements in accordance with International Financial Reporting Standards, and for such internal control as management determines is necessary to enable the preparation of financial statements that are free from material misstatement, whether due to fraud or error.

Auditors' responsibility

Our responsibility is to express an opinion on these financial statements based on our audit. We conducted our audit in accordance with International Standards on Auditing. Those standards require that we comply with ethical requirements and plan and perform the audit to obtain reasonable assurance about whether the financial statements are free from material misstatement.

An audit involves performing procedures to obtain audit evidence about the amounts and disclosures in the financial statements. The procedures selected depend on the auditors' judgment, including the assessment of the risks of material misstatement of the financial statements, whether due to fraud or error. In making those risk assessments, the auditor considers internal control relevant to the entity's preparation and fair presentation of the financial statements in order to design audit procedures that are appropriate in the circumstances, but not for the purpose of expressing an opinion on the effectiveness of the entity's internal control. An audit also includes evaluating the appropriateness of accounting policies used and the reasonableness of accounting estimates made by management, as well as evaluating the overall presentation of the financial statements.

We believe that the audit evidence we have obtained is sufficient and appropriate to provide a basis for our audit opinion.

Opinion

In our opinion, the financial statements present fairly, in all material respects, the financial position of JSC Telasi as at 31 December 2010, and its financial performance and its cash flows for the year then ended in accordance with International Financial Reporting Standards.

Emphasis of matter

We draw attention to Note 29 to the financial statements, which discloses a significant concentration of the Company's transactions and significant amounts of financing transactions with Company's major shareholder and other related parties.

ERNST & YOUNG LLC

15 March 2011

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

- სს „თელასის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ სს „თელასის“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ასევე საერთო შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული პერიოდისათვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასეთი პასუხისმგებლობა გულისხმობს უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე შედგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენის მიზნით შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენ გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს ეთიკური ნორმების დაცვას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც გამიზნულია ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხებისა და მონაცემების თაობაზე მტკიცებულებების მოსაპოვებლად. შერჩეული მეთოდიკა დამოკიდებულია აუდიტორთა მოსაზრებაზე, მათ შორის, არსებითი უზუსტობის რისკის შეფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა, იქნება მსგავსი უზუსტობა დაშვებული უნებლიეთ თუ განზრახ. იმისათვის, რომ შეიმუშავოს ვითარებისა და გარემოების შესატყვისი პროცედურები, რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ მექანიზმებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და ღიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

დარწმუნებულნი ვართ, რომ აუდიტის დროს მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და სათანადო საფუძველს გვიქმნის აუდიტორული დასკვნის წარსადგენად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს სს „თელასის“ ფინანსურ მდგომარეობას 2010 წლის 31 დეკემბრისათვის, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ბაზრასმა

გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნაზე 29, რომელშიც განმარტებულია კომპანიის ტრანზაქციების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, ასევე ინფორმაცია კომპანიის მსხვილ აქციონერთან და ახვა დაკავშირებულ მხარეებთან დაფინანსების ოპერაციების მნიშვნელოვან თანხებზე.

15 მარტი 2011 წელი

შინაშენი ანგარიშგების წარდგენა რეგულირდება საქართველოს საზღვარსა
 საზღვარს უფროსის 2009 წლის 25 მაისის №22 ბრძანებით და შედგენილია
 სამართლებრივი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

საწარმოს სრული დასახელება	საქციო საზოგადოება "თელასი"	
საწარმოს მოკლე დასახელება	სს "თელასი"	
საიდენტიფიკაციო კოდი	202052580	
ადგილმდებარეობა	საქართველო ქ. თბილისი	
საფოსტო მისამართი	კანის ქ. 3	
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	2/5-86	
რეგისტრაციის თარიღი	5/21/1998	
საკონტაქტო ტელეფონები	(995 32) 17-24-45	
საკონტაქტო პირი	ომარ ოგბაიძე	
ფაქსი	(995 32) 77-99-81	
ელ. ფოსტა	omar.ogbaidze@telasi.ge	
ვებგვერდი	www.telasi.ge	
დირექტორი	აურია ჰიმონიძე	
სამედიანობის სფერო	ელ. ენერჯის განაწილება	

საქართველოს საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადებით



მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2010 წ. 31 დეკემბრის- 2009 წ. 31 დეკემბრის
პერიოდის (ხარჯების კლასიფიკაციის ილუსტრირება ფუნქციების მიხედვით)

	ათასი ლარი 2010	ათასი ლარი 2009
შემოსავალი რეალიზაციიდან	229 989	215 687
რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება	(91 601)	(95 953)
საერთო მოგება	138 388	119 734
ხელუქასები, თანამშრომლებზე გასაცემი თანხები, სახელმწიფო ფონდის ანაზღაურება	(44 817)	(43 135)
ფასობა და ამორტიზაცია	(11 154)	(5 754)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(5 753)	(5 780)
გადასახადები, მოგების გადასახადის გამოკლებით	(3 347)	(4 761)
გაუფასურების (ზარალი) მოგება თვითღირებულება	3 080	7 775
უიმედი კვლევების ჩართვა სხვა ხარჯები	(2 375)	(47 418)
უიმედი კვლევების ჩართვა სხვა ხარჯები	(16 357)	(12 964)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	57 664	7 697
სხვა შემოსავლები	12 571	4 262
სხვა ხარჯები	-	-
წმინდა ფინანსური შემოსავლები/ (დანახარჯები)	(16 754)	(13 599)
მოგება დაბეგვრამდე	53 481	(1 640)
მოგების გადასახადი	(5 125)	(597)
მოგება დაბეგვრის შემდეგ	48 356	(2 237)
წმინდა მოგება/ზარალი ზვეულებრივი საქმიანობიდან	48 356	(2 237)
გასაკუთრებული მუხლები	-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება	48 356	(2 237)
შემოსავალი ერთ აქციაზე	0.60	(0.03)
გასაკუთრებული შემოსავალი ერთ აქციაზე	-	-

ხელმძღვანელის ხელმოწერა



წლიური ბილანსი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათასი ლარი

აქტივები

შენიშვნა

2010 2009
ათასი ლარი ათასი ლარი

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	9	170 627	154 593
არამატერიალური აქტივები	10	4 066	1 494
ვალდებულებათა მიხედვით გრძელვადიანი ნაწილი	11	4 909	8 239
		179 602	164 326

მიმდინარე აქტივები

კადასტრული ხარჯის მოკლებული ნაწილი	11	-	-
საგადასახადო მიმდინარეობები	12	-	-
სახელმწიფო მატერიალური მარაგები	13	12 347	9 591
ძირითადი საწარმოები და მომსახურებიდან	14	32 869	37 149
სხვა მატერიალური	15	7 109	9 254
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	16	15 244	3 660
		67 570	59 654

სულ აქტივები

247 172 223 980

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი		81 148	81 148
ვალდებულებათა რეზერვი		79 384	80 103
გაუნაწილებელი მოგება (დივიდენდი ხარჯი)		(139 897)	(188 972)
სულ		20 635	(27 721)

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი მომსახურება		603	718
გრძელვადიანი აქციები		65 837	75 708
ვალდებულებათა საკლასიზაციო კატეგორია		584	3 424
		67 024	79 850

მიმდინარე ვალდებულებები

კრძალვითი მომსახურება მოკლებული ნაწილი	17	139	139
მოკლევადიანი აქციები	17	11 068	4 493
საგადასახადო ვალდებულებები	18	16 677	21 795
მოწოდებლებთან და მომსახურებებთან წარმოქმნილი ვალდებულებები	19	90 288	98 041
მოკლევადიანი აქციები		5 751	5 153
ვალდებულებათა კლასიზაციის რეზერვი	20	15 824	15 130
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	21	669	8 495
		19 098	18 605
		159 513	171 851

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

247 172 223 980

ბელანსი შედგენილია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

პირდაპირი მეთოდი

	2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
მომხმარებელთა და მომსახურებლის მიერ მიღებული ფულადი სახსრები	278 681	262 802
მიწოდებულ საქონელზე გატარებული ფულადი სახსრები	(96 954)	(105 741)
გატარებული მომსახურების შედეგად	(43 260)	(43 629)
გადახდილი გადასახადები (მოვლის გადასახადის გარდა)	(41 673)	(39 475)
გადახდილი მოვლის გადასახადი	(4 128)	(983)
საოპერაციო საქმიანობის დაკავშირებული სხვა გაცემები	(26 131)	(26 967)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	66 535	46 008
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშენობებისა და არასატერაქტული აქტივების განხილვა	20	148
ძირითადი საშენობებისა და არასატერაქტული აქტივების შექენა	(28 149)	(26 334)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(28 129)	(26 186)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან :		
გრძელვადიანი სესხის აღება	-	18 200
მოკლევადიანი სესხის დაბრუნება	-	(30 685)
გრძელვადიანი საბანკო და სხვა ვალდებულებების დაფარვა	(20 471)	-
მოკლევადიანი ვალდებულება	671	296
გადახდილი მოსაკრებელი	(6 636)	(6 984)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(26 436)	(19 173)
კალუტას კომპანის ცენტრალური განაწილებული ზრდა ან კლება	(386)	3
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	3 660	3 008
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	15 244	3 660
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა ან კლება	11 584	652

ხელმოწერის ხელმოწერა



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	საქონლები	საიმეზიძე	გადაუხსნების რეზერვი მიზნობრივი	დამფინანსებლები	აკუმულირებული მოგება (ზარალი)	გამოსიდული საკუთარი აქციები	ჯამი
2007 წ. 31 დეკემბერი ბალანსი	81 148	-	42 665	-	(795 298)	-	(671 485)
გადაუხსნების რეზერვის რეალიზაცია	-	-	(10 275)	-	832	-	(9 443)
გადაუხსნების რეზერვის დიკონტინირება	-	-	-	-	523 817	-	523 817
საანგარიშო პერიოდის წინადა მოგება	-	-	-	-	83 631	-	83 631
2008 წ. 31 დეკემბერი ბალანსი	81 148	-	32 390	-	(795 298)	-	(73 480)
გადაუხსნების რეზერვის რეალიზაცია	-	-	47 713	-	283	-	47 996
საანგარიშო პერიოდის წინადა მოგება	-	-	-	-	2 237	-	2 237
2009 წ. 31 დეკემბერი ბალანსი	81 148	-	80 103	-	(187 018)	-	(27 721)
გადაუხსნების რეზერვის რეალიზაცია	-	-	(719)	-	719	-	-
საანგარიშო პერიოდის წინადა მოგება	-	-	-	-	48 356	-	48 356
2010 წ. 31 დეკემბერი ბალანსი	81 148	-	79 384	-	(137 943)	-	20 635

გეოდეკონომიკური ხელმოწერა

სააღრიცხვო პოლიტიკა და აზსნა-განმარტებითი შენიშვნები

შემოსავლები რეალიზაციიდან
შენიშვნა 1

ელექტროენერჯის გაყიდვები
მისასღების სექტორი
კომერციული და სამრეწველო სექტორი
სასაქონლო სექტორი
სხვ.
ელექტროენერჯის გადაცემა
სხვ. შეძისხვედები

2010	2009
ათასი ლარი	ათასი ლარი
114 708	110 590
83 120	76 278
21 787	20 799
2 536	339
7 839	7 681
229 989	215 687

შესყიდული ელექტროენერჯია
შენიშვნა 2

ელექტროენერჯია
ელექტროენერჯის გადაცემა და განაწილება

2010	2009
ათასი ლარი	ათასი ლარი
88 150	80 168
3 451	15 784
91 601	95 953

ხელფასები, თახამშრომლებზე გაცემული თანხები და ანარიცხები
შენიშვნა 3

ხელფასი
სოციალურხვედულის ხარჯები
საპენსიო ფონდის ანარიცხები, სხვა გადასახადები და
შეკრებები

2010	2008
ათასი ლარი	ათასი ლარი
42 154	40 042
-	-
2 663	3 093
44 817	43 135

ხელმძღვანელის ხელმოწერა



სარემონტო სამუშაოებზე და ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები
შენიშვნა 4

	2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
მაღალი და დაბალი ძაბვის ხავერდები	3 399	3 304
სხვა	2 355	2 476
	5 753	5 780

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა
შენიშვნა 5

	2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
დღგ	2 131	2 973
ქონებრივი გადასახადი	1 141	1 644
ხავეზაი გადასახადი	-	-
ეკონომიკური საქმიანობის გადასახადი	75	144
სხვა	-	-
	3 347	4 761

გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი/(მოგება)
შენიშვნა 6

	2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
უიმედო და ხავეზო ვალები	(4 013)	(13 994)
სხვა დეკლარირებული დაუადრინებელი	933	6 219
დასაბრუნებელი ანაზ	-	-
გაუფასურებას მოქალაქე ზარალი	-	-
	(3 080)	(7 775)

ხელმძღვანელის ხელმოწერა



სხვა საოპერაციო ხარჯები
შენიშვნა 7

მმართველობითი ხარჯები
ტექნიკური ხარჯები
საწიური გადასახადები
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები
იჯარა, ხაფიფსე მოწყობილობის ტექნიკური მომსახურება
მედიკამენტები და ვადახადებები/ტრანსპორტირება
სხვა

	2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
	-	-
	-	-
	701	565
	2 098	2 560
	1 088	1 414
	810	943
	11 659	7 483
	16 357	12 964

წმინდა ფინანსური დანახარჯები
შენიშვნა 8

საპროცენტო შემოსავლები
საპროცენტო ხარჯები
აქციონერის მიერ მიღებული კრედიტები
გრძელვადიანი დაფინანსება
გრძელვადიანი კრედიტის დაფინანსების ხარჯების ჩამოწერა
გრძელვადიანი თამასუქების დისკონტი
ხარჯების ამორტიზაცია გრძელვადიანი დაფინანსების მიხედვით
(დასახეობა)
მოკლევადიანი კრედიტები
საბანკო კომისიები
თამასუქი
გრძელვადიანი კრედიტი
კურსთა მართვის სხვაობით მიღებული (მოგება) /ზარალი

	2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
	671	296
	-	-
	-	-
	-	-
	-	-
	-	-
	-	-
	-	-
	(11 521)	(12 063)
	(5 904)	(1 833)
	(16 754)	(13 599)

ხელმძღვანელის ხელმოწერა



დასახელება	მარტივი ფორმა	მარტივი ფორმა	მარტივი ფორმა	მარტივი ფორმა	მარტივი ფორმა	მარტივი ფორმა	მარტივი ფორმა	მარტივი ფორმა
დასახელება	2010 წლის 01.01.	2010 წლის 01.01.	2010 წლის 01.01.	2010 წლის 01.01.	2010 წლის 01.01.	2010 წლის 01.01.	2010 წლის 01.01.	2010 წლის 01.01.
დაირეზერვებული ვალდებულებების შექმნა								
ნაშთი 01.01.2010	16 256	29 420	92 877	2 338	1 859	10 845	154 593	
ძირითადი სამუდამოების ნაშთი	1 006	2 162	1 730	2 608	1 072	20 149	28 727	
ძირითადი სამუდამოების ვალდებულება	-	1 422	12 746	-	-	(14 168)	-	
აქტივების გასუფთავება	(48)	(65)	(1 001)	(158)	(73)	(586)	(1 934)	
ნაშთი 31.12.2010	17 213	32 939	106 351	4 788	3 859	16 237	181 387	
აქტივების ვალდებულებების შექმნა								
ნაშთი 01.01.2010	-	-	-	-	-	-	-	
საქმიანობის შედეგების გამოწვეული	352	352	6 724	903	532	-	10 911	
აქტივების გასუფთავება	-	(74)	(96)	(25)	(6)	-	(151)	
ნაშთი 31.12.2010	-	838	8 628	768	526	-	10 760	
ნაშთი დაირეზერვებული								
ნაშთი 01.01.2010	16 256	29 420	92 877	2 338	2 859	10 845	154 593	
ნაშთი 31.12.2010	17 213	32 101	97 723	4 020	3 333	16 237	170 627	

ბიზნეს-გეგმის მართვა

არამატერიალური აქტივების
შენიშვნა 10

	კომპიუტერული პროგრამები	დასანერგი პროგრ. "ზრუნველყოფა"	ჯამი
ნაშთი 01.01.2010	1 481	699	2 180
შესყიდვები	1 296	1 519	2 815
ნაშთი 31.12.2010	2 777	2 218	4 995
ამორტიზაცია და გაუფასურების რეზერვი			
აკუმულირებული ამორტიზაციის და გაუფასურების რეზერვის ნაშთი 01.01.2010	686	-	686
ამორტიზაციის ხარჯი წლის განმავლობაში	243	-	243
ნაშთი 31.12.2010	929	-	929
ნარჩენი ღირებულება			
ნაშთი 01.01.2010	795	699	1 494
ნაშთი 31.12.2010	1 848	2 218	4 066

ბელაბახაძის ბელაბახაძის

გადავადებული ხარჯები
შენიშვნა 11

გადავადებული ხარჯები- მძღონარე ნაწილი
კაპიტალური ხარჯები- კრძმელვადიანი ნაწილი

ძილიანი გადავადებული ხარჯები

წლის განმავლობაში ამორტიზებული ხარჯები

2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
-	-
4 909	8 239
4 909	8 239

ნაშთი 01 იანვრის მდგომარეობით

წლის განმავლობაში ამორტიზებული

ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით

2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
8 239	(19 381)
(3 331)	27 620
4 909	8 239

სავადასახადო მოთხოვნები
შენიშვნა 12

ძილიანი დივი
სსკ

უფასეულობის რეზერვი (იხილეთ შენიშვნა 9)

მარაგები
შენიშვნა 13

ძილიანი დივი სანქციონირების წარმომადგენლის საჭირო
მომსახურების სესხები

სსკ-ს ხსენებული მარტერიული უფასეულობები

2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
-	-
-	-
-	-
-	-
-	-

2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
8 837	7 219
3 509	2 372
12 347	9 591

ი. დამბეკანჯლის ხელმოწერა



მოთხოვნები მიწოდებიდან
შენიშვნა 14

საკაპიტორუბო სექტორი
კომერციული და სამრეწველო სექტორები
საინვესტიციო დეპარტორული დავალიანება
სხვა

ეკვივალენტების რეზერვი

	2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
	86 623	96 859
	32 838	34 070
	14 461	14 151
	2 742	3 131
	136 664	148 210
	(103 795)	(111 061)
	32 869	37 149

სხვა მოთხოვნები
შენიშვნა 15

სხვა და წინასწარი ვიდეხლები
ეკვივალენტების მხარის დეპარტორული დავალიანება
სამსხონველი საბიჯის ვაცემული ავანსები
სხვა

ეკვივალენტების რეზერვი

	2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
	8 194	10 613
	1 617	1 617
	6	10
	2 460	309
	12 277	12 549
	(5 168)	(3 295)
	7 109	9 254

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
შენიშვნა 16

ფულადი
საბიჯის სახელი ახგარშეები
საბიჯის ტეკონსიტება
საბიჯის ტეკონსიტების ბარათები
ფულადი და ფულადი სახსრების ეკვივალენტები
საბიჯის მისხდვით

სხვა ფულადი რეზერვი

ფულადი და ფულადი სახსრების ეკვივალენტები
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშების
სხვა

	2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
	21	24
	9 849	3 597
	5 318	-
	56	39
	15 244	3 660
	-	-
	15 244	3 660

საბიჯის მისხდვის ხელმოწერა



მოკლევანი საბანკო და სხვა სესხები
შენიშვნა 18

	2010	2009
	ათასი ლარი	ათასი ლარი
Silk Road Holding B.V.-ის კრედიტი	-	-
მთავარი აღკვეთის კრედიტი	-	-
ბანკების მიერ გასაყოფიელი კრედიტები	10 498	3 864
დანარჩენი კრედიტები	-	-
	10 498	3 864
დარიცხვითი პროცენტები	709	768
	11 207	4 633

გადასახდელი გადასახადები
შენიშვნა 18

	2010	2009
	ათასი ლარი	ათასი ლარი
გადასახდელი დივიდენდი	12 564	14 118
სოციალური გადასახადი	-	-
საგზაო გადასახადი	-	-
არარესტრუქტურის ხაზქმობაზე გადასახადი	-	-
გადასახდელი არაფინანსური მომსახურების	688	531
სხვა	3 424	7 145
	16 677	21 795

ბელმსტრენგელის ხელმოწერა



მწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები
შენიშვნა 19

	2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
კრედიტორული დაქვლიანება	10 142	14 908
კრედიტორული დაქვლიანება - დაკავშირებული მხარეები	80 146	83 133
სახელმწიფო შეღავათება	-	-
	90 288	98 041

გადასახდელი თანხები
შენიშვნა 20

	2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
მმართველობითი ხარჯები	8 827	8 394
ტექნიკური ხარჯები	5 970	5 759
სხვა	1 027	977
	15 824	15 130

რეზერვები
შენიშვნა 21

	2010 ათასი ლარი	2009 ათასი ლარი
რეზერვი - გრძელვადიანი საქმიანობისთვის	669	8 495
სხვა	-	-
	669	8 495

ბელმსკინკაის ხელმოწერა

ფინანსური ანგარიზი

შენიშვნა 14

2010

2009

		2010	2009
შემოსავალი ერთ აქციაზე (EPS)	შემოსავალი ერთ აქციაზე ერთი კვირის განმავლობაში აქციის საშუალო ბაზისზე გაყოფისას	0.60	-0.03
აქციის სააზრო ფასის მოქვარდება აქციაზე წინასწარ შეისაჯვარება	აქციის სააზრო ფასი ერთი კვირის განმავლობაში	1.68	-36.28
აქციის სავალდებულება	სავალდებულება ერთი კვირის განმავლობაში	0	0
სავალი კოეფიციენტი	სავალი კოეფიციენტი ერთი კვირის განმავლობაში	1098%	-908%
შინაური კონტროლის კარგობაზე	შინაური კონტროლის კარგობა ერთი კვირის განმავლობაში	21.3%	1.4%
შედეგის ვარიაცია	შედეგის ვარიაცია ერთი კვირის განმავლობაში	21%	-1%
მომართვის კონტროლის კოეფიციენტი	მომართვის კონტროლის კოეფიციენტი ერთი კვირის განმავლობაში	0.42	0.15
სწრაფი კონტროლის კოეფიციენტი	სწრაფი კონტროლის კოეფიციენტი ერთი კვირის განმავლობაში	0.35	0.19

გადასამოწამის ბეჭედი

V. სააქციო საზოგადოება «თელასის» სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(a) მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, საწყისი ღირებულების მეთოდის მიხედვით, რომელიც შემდეგ შესწორდა სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარების და იმ ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად, რომლებიც ასახულია გადაფასებული თანხით.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოყვანილია ქვემოთ. ეს პრინციპები გამოყენებული იყო ყველა წარმოდგენილი პერიოდისათვის, თუ სხვა რამ არ იყო მითითებული.

(b) ფუნქციონალური და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ლარი ("GEL"), რომელიც, ამავდროულად, კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(c) უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის დადგენილი გაცვლის ოფიციალური კურსის თანახმად. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღრიცხულია ტრანზაქციის თარიღისათვის დადგენილი გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და საწყისი ღირებულებით ასახული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლის კურსის შესაბამისად. სამართლიანი ღირებულებით ასახული უცხოურ ვალუტაში გამოხატული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში გაცვლის იმ კურსის შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის. ასეთი ტრანზაქციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაყვანის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი ასახულია წლის განმავლობაში მიღებულ მოგებასა და ზარალში.

(d) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავიდან აისახება თვითღირებულების მიხედვით, ხოლო შემდეგ გადაფასებული ღირებულების შესაბამისად. თვითღირებულება მოიცავს აქტივების შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს.

საკუთარი სახსრებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს მასალების ღირებულებასა და პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული აქტივის მუშა მდგომარეობამდე მიყვანასთან, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით, ასევე ობიექტის დემონტაჟთან, გატანასა და სამუშაოების წარმოების ადგილს აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს. შექმნილი კომპიუტერული პროგრამების, რომლებიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია, კაპიტალიზაცია ხორციელდება ამ მოწყობილობის შემადგენელი ნაწილის სახით. როდესაც ძირითადი საშუალებების ობიექტი შეიცავს სასარგებლო გამოყენების სხვადასხვა ვადის მქონე ძირითად კომპონენტებს, მათი აღრიცხვა ხორციელდება ძირითადი საშუალებების ცალკეული ობიექტების სახით.

ძირითადი საშუალებების გადაფასება ხორციელდება რეგულარულად იმისათვის, რომ საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან, რომელიც დადგენილ უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულების მეთოდის საშუალებით საანგარიშო პერიოდის ბოლოს. გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალების ობიექტის ღირებულების ზრდა უშუალოდ აისახება საერთო შემოსავლებში და იწვევს საკუთარ კაპიტალში გადაფასების რეზერვის ზრდას. შემცირება, რომელიც იგივე აქტივის წინა ზრდის კომპენსირებას ახდენს, აისახება სხვა საერთო შემოსავლებში და ამცირებს საკუთარ კაპიტალში წინა გადაფასების შედეგად წარმოქმნილ რეზერვს; ყველა სხვა შემცირება აღირიცხება მოგებისა და ზარალის შესახებ წლიურ ანგარიშში. გადაფასების თარიღისათვის ნებისმიერი დაგროვებული ამორტიზაციის, გაუფასურების შედეგად მიღებულ ზარალთან ერთად, ლიკვიდაცია ხორციელდება აქტივის მთლიანი თანხის ხარჯზე, ხოლო წმინდა ნაშთი ხელახლა უნდა იქნეს განსაზღვრული აქტივის გადაფასებული ღირებულების მიხედვით. საკუთარ კაპიტალში არსებული გადაფასების რეზერვი გადატანილ უნდა იქნეს გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც გადაფასების ნამეტის რეალიზაცია ხორციელდება

აქტივის გასვლის ან ლიკვიდაციის დროს. კომპანია ძირითადი საშუალებების გადაფასებასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვას ახორციელებს უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

აქტივის გასვლის დროს მიღებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აისახება წლიურ ანგარიშში მოგებისა და ზარალის შესახებ.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, ხელმძღვანელობა ახორციელებდა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნის არსებობის დადგენას. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ახორციელებდა ჩანაცვლების ღირებულების შეფასებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის ყველაზე მაღალ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასაყიდად გაწეული ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულება. საბალანსო ღირებულება შემცირებულ იქნა ჩანაცვლების ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურებით მიღებული ზარალი აისახა მოგებისა და ზარალის შესახებ წლიურ ანგარიშში იმ ოდენობით, რომლითაც იგი აღემატება გადაფასების წინა ნაშეტს საკუთარ კაპიტალში. წინა წლების განმავლობაში აქტივის გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალის რევერსირება, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდებოდა იმ შეფასებებში ცვლილებების შემთხვევაში, რომლებიც გამოყენებული იყო აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასაყიდად გაწეული ხარჯები განსაზღვრისათვის.

(I) შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალების ობიექტის იმ კომპონენტის შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების, რომლის აღრიცხვა ცალკე წარმოებს, კაპიტალიზაცია ხორციელდება ჩამოსაწერი კომპონენტის საბალანსო ღირებულების სახით. რემონტსა და ტექნიკური მომსახურების სამუშაოებზე გაღებული ხარჯების ასახვა ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა სხვა ხარჯის ასახვა ხდება ანგარიშში მოგებისა და ზარალის შესახებ, გაღებული ხარჯების სახით.

(II) ამორტიზაცია

ამორტიზაციის ასახვა ხორციელდება ანგარიშში მოგებისა და ზარალის შესახებ ინდივიდუალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადაზე თანაბარი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით. აქტივის ამორტიზაცია იწყება, როდესაც იგი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება. მიწის ამორტიზაცია არ ხორციელდება.

- სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები შემდეგია:
- შენობები 50 წლამდე
- მანქანები და მოწყობილობები 15-დან 30 წლამდე
- საკუთნოები და ინვენტარი 5-დან 15 წლამდე
- ავტოსატრანსპორტო საშუალებები 5 წლამდე

(e) არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულების შესაბამისად, დაგროვებული ამორტიზაციის გამოკლებით. გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოწერილ უნდა იქნეს გამოყენებაში უმაღლეს ფასეულობამდე და სამართლიან ღირებულებამდე, გასაყიდად გაღებული ხარჯების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხორციელდება სასარგებლო გამოყენების ვადაზე თანაბარი დარიცხვის მეთოდის საშუალებით იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდა. ქვემოთ ნაჩვენებია სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები:

- კომპიუტერული პროგრამები და ლიცენზიები 10 წლამდე

(f) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აისახება თვითღირებულებიდან უმცირესის და რეალიზაციის შესაძლო წმინდა ღირებულების თანახმად. რეალიზაციის შესაძლო წმინდა ღირებულება წარმოადგენს გაყიდვის სავარაუდო ფასს საქმიანობის ნორმალურ პირობებში, სამუშაოების დასასრულებლად სავარაუდო დანახარჯებისა და გასაყიდად გაღებული ხარჯების გამოკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება განისაზღვრება საშუალოშეწონილი ღირებულების მეთოდის შესაბამისად და მოიცავს მათი შეძენის, მიწოდების და არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე დაყვანისათვის გაწეულ ხარჯებს.

(g) ფინანსური აქტივები

(i) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შეფასება

გადადებული ინვესტიციების, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების, ან ჰეჯირებისათვის განკუთვნილი წარმოებული ფინანსური აქტივის სახით, საჭიროების შემთხვევაში, ჰეჯირების განხორციელებისას. ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც კომპანიის მფლობელობაშია 2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლასიფიცირებულია სესხებისა და დებიტორული დავალიანების სახით და მოიცავს აქტივების შემდეგ კლასებს: სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანება, წინასწარი გადახდები და სხვა დებიტორული დავალიანება და ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება ხორციელდება გარიგების თარიღით, როდესაც კომპანია იღებს სახელშეკრულებო ვალდებულებას აქტივთან დაკავშირებით.

სესხები და დებიტორული დავალიანება არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის ბრუნვაში აქტიურ ბაზარზე. ასეთი აქტივების საწყისი აღიარება ხორციელდება სამართლიანი ღირებულებას პლუს გარიგებასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯების სახით. საწყისი შეფასების შემდეგ, ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულების შესაბამისად, პროცენტის ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზირებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შექმნაზე დანამატის, აგრეთვე საფასურებისა ან ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც EIR-ის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. EIR-ის გამოყენებით განხორციელებული ამორტიზაცია შედის მოგების და ზარალის შესახებ ანგარიშის ფინანსური შემოსავლების კატეგორიაში. გაუფასურებით მიღებული ზარალი აისახება საერთო შემოსავლების შესახებ ანგარიშში, ფინანსური ხარჯების კატეგორიაში.

(II) ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება სახელშეკრულებო უფლებები აქტივიდან მიღებული ფულადი სახსრების ნაკადზე, ან იგი, ხელშეკრულების საფუძველზე, გადასცემს უფლებებს ფინანსური აქტივიდან შემოსული ფულადი სახსრების მიღებაზე გარიგების თანახმად, რომლის მიხედვითაც არსებითად ხორციელდება ასეთი ფინანსური აქტივების ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა. ნებისმიერი მონაწილეობა, რომელიც შექმნა ან შეინარჩუნა კომპანიამ გადაცემულ აქტივთან დაკავშირებით, აღიარებულ უნდა იქნეს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

(III) რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება

კომპანია, ვადაგასული სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოსაღებად, პერიოდულად, დებს ხელშეკრულებებს ვადაგასული დებიტორული დავალიანების რესტრუქტურირების მიზნით, პორციების სახით, რომელიც მომხმარებლებმა უნდა გადაიხადონ ყოველთვიურად. კომპანია რესტრუქტურირებულ დებიტორულ დავალიანებას არ არიცხავს პროცენტებს; შესაბამისად, იგი რესტრუქტურირების შედეგად მიღებული ზარალის ასახვას ახორციელებს იმ თანხის სახით, რომელიც რესტრუქტურირებულ ვადაგასული დებიტორული დავალიანების ნარჩენ საბალნსო ღირებულებასა და რესტრუქტურირების თარიღით მის სამართლიან ღირებულებას შორის არსებული განსხვავების ტოლია. რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება, მსგავსი სესხებისათვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მითითებით, რომელიც ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკურ ბიულეტენში.

(iv) ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეული საანგარიშო თარიღისათვის, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რისკს ობიექტური ნიშნის არსებობას. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად განიხილება მაშინ, როდესაც არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის მომხდარი შემთხვევა“), ხოლო ზარალის დადგომის შემთხვევა ზეგავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან ან ფინანსური აქტივების ჯგუფიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ მომავალ ნაკადებზე, რომელთა შეფასება დასაბუთებულად არის შესაძლებელი. გაუფასურების მტკიცებულება შეიძლება შეიცავდეს იმის ნიშნებს, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტების გადახდასთან ან ვალის ძირითადი ნაწილის გადახდასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და როდესაც ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგასული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებიც კორელაციაშია აქტივების შესაბამისად მიღებულ ზარალთან.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანებისათვის, გადახდების ვადის დარღვევა მიჩნეულია გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებად. რეზერვის ოდენობის შეფასება ხორციელდება დაგვიანებული გადახდის ფარდობითი ღირებულების შედარების საფუძველზე დასაფარი დებიტორული დავალიანების მთლიან თანხასა და მომხმარებლის ქცევის არსებულ სტატისტიკურ ისტორიასთან მსგავს გარემოებებში.

კომპანია თითოეული ფინანსური აქტივის შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით ახორციელებს ინდივიდუალურად.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფულადი სახსრების მომავალი შეფასებული ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (რაც არ ითვალისწინებს სესხების შესაბამისად მომავალში მოსალოდნელ ზარალს, რომელიც ჯერ არ დამდგარა). ფულადი სახსრების მომავალი შეფასებული ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის საწყისი მოქმედი საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. თუ სესხზე დარიცხული პროცენტების განაკვეთი იცვლება, გაუფასურებით მიღებული ზარალის განსაზღვრისათვის დისკონტირების განაკვეთი იქნება მიმდინარე მოქმედი საპროცენტო განაკვეთი.

სესხებისა და დებიტორული დავალიანების ჩამოწერა, ასოცირებულ რეზერვთან ერთად, ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს რეალისტური პროგნოზი იმისა, რომ მომავალში შესაძლებელია მათი ამოღება, სესხის ყველა უზრუნველყოფა რეალიზებულია ან გადაეცა კომპანიას. თუ მომდევნო წლის განმავლობაში, გაუფასურებით მიღებული ზარალის ოდენობა გაიზარდა ან შემცირდა იმ მოვლენის გამო, რომელიც გაუფასურების აღიარების შემდეგ დადგა, ხორციელდება გაუფასურებით მიღებული ადრე ასახული ზარალის ზრდა ან შემცირება სესხის შედეგად მიღებული ზარალის დასაფარად განკუთვნილი რეზერვის რეგულირების საფუძველზე. ჩამოსაწერად განკუთვნილი თანხის მომავალში ამოღების შემთხვევაში, ასეთი ამოღება აისახება საერთო შემოსავლების შესახებ ანგარიშში.

(h) ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს, რომლებიც გაიცემა მოთხოვნისთანავე, ან აქვს სამი თვის ან ნაკლები დაფარვის საწყისი ვადა.

(I) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები IAS 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ვალდებულებების სახითმოგებასა და ზარალში, კრედიტების და სესხების სახით, ან როგორც წარმოებული აქტივები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ჰეჯირების განხორციელების დროს, შესაბამისად. კომპანია თავის ფინანსურ ვალდებულებებს განსაზღვრავს საწყისი აღიარების დროს. ყველა ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკისრია კომპანიას 2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლასიფიცირებულია კრედიტებისა და სესხების სახით და შეიცავს ვალდებულებათა შემდეგ კლასებს: სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება და სესხები და თამასუქები, რომელთაც ერიცხება პროცენტები.

ფინანსური ვალდებულებების საწყისი აღიარება ხორციელდება სავაჭრო გარიგების დადების თარიღით, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ყველა ფინანსური ვალდებულების საწყისი აღიარება განხორციელებულია სამართლიანი ღირებულებით პლუს გარიგებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები.

საწყისი აღიარების შემდეგ, იმ კრედიტებისა და სესხების, რომლებსაც ერიცხება პროცენტები, შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულების შესაბამისად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხორციელდება საერთო შემოსავლების შესახებ ანგარიშში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზირებული ღირებულების გამონაგარიშების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნებისმიერი დისკონტი ან შექმნის ბონუსი, აგრეთვე საფასურები და ხარჯები, რომლებიც EIR-ის განუყოფელი ნაწილია. EIR-ის ამორტიზაცია შედის ფინანსურ საქმიანობაზე გაწეულ ხარჯებისაერთო შემოსავლების შესახებ ანგარიშში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იგივე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან ისეთი მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი

ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება საერთო შემოსავლების შესახებ ანგარიშში.

(j) ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში მხოლოდ და მხოლოდ, მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი უფლება

თანხების ჩათვლაზე და აპირებს აქტივის დაფარვას ნეტო-საფუძველზე ან მის რეალიზებასა და ვალდებულების დაფარვას ერთდროულად.

(k) წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღირიცხება ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდის კლასიფიცირება გრძელვადიანის სახით შესაძლებელია, როდესაც მასთან დაკავშირებული საქონელი და მომსახურება მიღებულ უნდა იქნეს ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს გრძელვადიანის სახით საწყისი აღიარების დროს. აქტივის შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდა მიეწერება აქტივის საბალანსო ღირებულებას მას შემდეგ, რაც კომპანია საკუთარ კონტროლზე იღებს აქტივს და სავარაუდოა, რომ ამ აქტივთან ასოცირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია. სხვა წინასწარი გადახდების ჩამოწერა ხდება მოგებასა და ზარალში, როდესაც მასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებულია. თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, ხორციელდება წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულების ჩამოწერა და გაუფასურებასთან დაკავშირებული შესაბამისი ზარალის აღიარება წლიურ ანგარიშში მოგებისა და ზარალის შესახებ.

(i) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების გადასინჯვას ახორციელებს თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გაუფასურების რაიმე ნიშნის არსებობის დადგენის მიზნით. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება აქტივის ჩანაცვლების ღირებულების შეფასება.

გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის აღიარება ხორციელდება, როდესაც აქტივის საბალანსო ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ღირებულება აღემატება მისი ჩანაცვლების ღირებულებას. გაუფასურებით მიყენებული ზარალის ცნობა ხდება წლიურ ანგარიშში მოგებისა და ზარალის შესახებ.

(i) ჩანაცვლების ღირებულების გაანგარიშება

ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ჩანაცვლების ღირებულება წარმოადგენს მათი სამართლიანი ღირებულებებიდან უდიდესს, სარეალიზაციო ხარჯებისა და სამომხმარებლო ღირებულების გამოკლებით. სამომხმარებლო ღირებულების შეფასებისას ხორციელდება ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი ნაკადების დისკონტირება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს მოცემული აქტივისათვის დამახასიათებელი ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და რისკებს. აქტივისათვის, რომელიც არ ახდენს ფულადი სახსრების მოდინების გენერირებას სხვა აქტივებისაგან დამოუკიდებლად, ჩანაცვლების ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება ფულადი სახსრების მაგენერირებელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც მიეკუთვნება აღნიშნული აქტივი.

(ii) გაუფასურების რევერსირება

წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურებით მიღებული ზარალის შეფასება ხორციელდება თითოეული საანგარიშო თარიღისათვის, რაიმე ნიშნის არსებობის გამოვლენის მიზნით, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის რევერსირება ხდება იმ შეფასებებში ცვლილებების შემთხვევაში, რომლებიც გამოიყენება ჩანაცვლების ღირებულების დასადგენად. გაუფასურებით მიყენებული ზარალის რევერსირება ხორციელდება მოცულობით, რომლითაც აქტივის ღირებულება არ აღემატება საბალანსო ღირებულებას, რომელიც დადგენილი იქნებოდა ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით იმ პირობით, რომ გაუფასურებით მიყენებული ზარალი აღარ არ იყო აღიარებული.

(m) რეზერვები

რეზერვის აღიარება ხორციელდება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში, როდესაც წარსული მოვლენის შედეგად, კომპანიას აქვს იურიდიული ან დაკისრებული ვალდებულება და სავარაუდოა ეკონომიკური სარგებელის გადინება ასეთი ვალდებულების დასაფარად. თუ ზეგავლენა არსებითია, მომავალი ხარჯების რეზერვის მოცულობა განისაზღვრება ფულადი სახსრების მომავალი ნაკადების დისკონტირებით დაბეჭდვამდე არსებული განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროებით ღირებულებას, მიმდინარე საბაზრო ფასს და, არსებობის შემთხვევაში, ამ ვალდებულებისათვის დამახასიათებელ რისკებს.

(n) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი აისახება საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადი შეიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აისახება წლიურ ანგარიშში მოგებისა და ზარალის შესახებ, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მისი აღიარება ხორციელდება სხვა საერთო შემოსავლებში ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში იმის გამო, რომ შეეხება ტრანზაქციებს, რომელთა აღიარება, ასევე ხორციელდება სხვა საერთო შემოსავლებში ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში იმავე ან სხვა პერიოდში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას, რომლითაც იბეგრება მიმდინარე ან წინა პერიოდის მოგება.

გადავადებული გადასახადის დარიცხვა ხორციელდება ვალდებულებების აღრიცხვის საბალანსო მეთოდის გამოყენებით, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, აქტივების საგადასახადო ბაზას, ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი განსხვავების ასახვისათვის. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღირიცხება იმ ოდენობით, რომლითაც არსებობს იმ დასაბეგრი მოგების მიღების ალბათობა მომავალში, რომელთან დაკავშირებითაც შესაძლებელია დროებითი განსხვავების გამოყენება, საწყის აღიარებასთან დაკავშირებული დათქმის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აისახება დროებითი განსხვავების შესაბამისად აქტივის ან ვალდებულებების საწყისი აღიარებისას ტრანზაქციის დროს, რომელიც არ წარმოადგენს კომპანიების გაერთიანებას, თუ ოპერაცია მისი საწყისი ასახვის შემთხვევაში, გავლენას არ ახდენს არც აღრიცხვაზე და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული გადასახადის ნაშთი განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთით, რომელიც ძალაში შევიდა ან არსებითად შევიდა ძალაში საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის და რომელიც სავარაუდოდ გამოყენებული იქნება პერიოდისათვის, როდესაც ხდება დროებითი სხვაობის რევერსირება, ან გამოიყენება საგადასახადო ზარალის გადავადების მეთოდი.

(o) დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი ("დღგ") აისახება ვალდებულების სახით გაყიდვის აღიარების მომენტში. იმ შემთხვევაში, თუ დღგ გადახდილ უნდა იქნეს მხოლოდ საგადასახადო ორგანოებისათვის, როდესაც მის საფუძველად მიჩნეული დებიტორული დავალიანება მიღებული ან ჩამოწერილია, ეს თანხა აისახება, როგორც გადავადებული დღგ ნომინალური თანხის შესაბამისად.

(p) შემოსავლები

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ მოცულობით, რომლითაც შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მოხდება ეკონომიკური სარგებელის შემოდინება კომპანიაში, ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების დასაბუთებული შეფასება, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები შეგებებული დაკმაყოფილების სამართლიანი ღირებულების თანახმად, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია შემოსავლებთან დაკავშირებული თავისი შეთანხმებების შეფასებას ახორციელებს სპეციალური კრიტერიუმების გამოყენებით იმის დასადგენად პრინციპალის სახით მოქმედებს იგი თუ აგენტის. კომპანიამ დაასკვნა, რომ იგი მოქმედებს პრინციპალის სახით შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა შეთანხმებაში. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

(i) ელექტროენერჯის გაყიდვა

ელექტროენერჯის გაყიდვის აღიარება ხდება საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო სექტორების მოხმარებელთა მიერ ელექტროენერჯის მრიცხველით აღრიცხული მოხმარების საფუძველზე.

მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, ანგარიშგების ნებისმიერი თარიღისათვის კომპანიას გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის ელექტროენერჯია, რომელიც აღირიცხა, მაგრამ რომლისთვისაც ჯერ არ არის წაყენებული ანგარიშები. შემოსავლების გამოანგარიშება, რომლებზეც ჯერ არ არის წაყენებული ანგარიშები, დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ ელექტროენერჯის

მიწოდების შეწყვეტის მოცულობასთან, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მის განაწილებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური დანაკარგების შეფასებასთან ანგარიშგების თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ და შეფასებულ შემოსავლებს შორის უმნიშვნელოა.

(ii) მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც მომსახურება უზრუნველყოფილია, ხოლო ანაზღაურების მიღება შესაძლებელია. სხვადასხვა სახის მომსახურება, რომელსაც კომპანია უზრუნველყოფს თავისი მომხმარებლებისათვის, დეტალურად განხილულია შენიშვნებში 7 და 8.

(iii) საპროცენტო შემოსავლები

ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, პროცენტებიდან მიღებული შემოსავლების ან ხარჯების აღრიცხვა ხორციელდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (EIR), რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო არსებობის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, შესაბამისად, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები შედის მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშის ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებში.

(iv) მომხმარებლებისგან მიღებული აქტივები

როდესაც კომპანიას მომხმარებელი გადასცემს ძირითადი საშუალებების ობიექტს, თავდაპირველად კომპანია ახორციელებს შეფასებას იმისა აკმაყოფილებს თუ არა ობიექტი აქტივის განსაზღვრებას. თუ კომპანია დაასკვნის, რომ აქტივის განსაზღვრება დაკმაყოფილებულია, იგი აღიარებს გადაცემულ აქტივს ძირითადი საშუალებების ობიექტის სახით, ხოლო საწყისი აღიარების დროს მისი ღირებულების შეფასებას ხორციელდება აქტივის სამართლიანი ღირებულების თანახმად.

IFRIC 18-ის შესაბამისად „მომხმარებლების მიერ აქტივების გადაცემა“ განიხილება, თუ ტრანზაქცია არის ტრანზაქცია, რომელიც ახორციელებს შემოსავლების გენერირებას. თავდაპირველად, კომპანია განსაზღვრავს მიღებული აქტივის სანაცვლოდ გაწეული მომსახურების სახეობას, შემდეგ მიღებული ან მისაღები შეგებებული დაკმაყოფილების სრული ოდენობის სამართლიანი ღირებულებას, ამის შემდეგ კი გამოიყენება შემოსავლების აღიარების კრიტერიუმები მომსახურების თითოეული სახეობისათვის.

(v) სახელმწიფო სუბსიდიები

სახელმწიფო სუბსიდიების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს სათანადო საფუძველი ვარაუდისა, რომ ასეთი სუბსიდია მიღებული იქნება. იმ შემთხვევაში, როდესაც სუბსიდიების მიღება დაკავშირებულია გარკვეულ პირობებთან, მისი აღიარება ხორციელდება, ასეთი პირობების დაკმაყოფილების გარანტიის არსებობის შემთხვევაში. როდესაც სუბსიდია შეეხება ხარჯების მუხლს, მისი აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა სუბსიდიის დასარეგულირებლად სისტემატურობის საფუძველზე იმ ხარჯებთან, რომელთა ანაზღაურებლად არის განკუთვნილი. როდესაც სუბსიდია შეეხება აქტივს, მისი აღიარება ხორციელდება გადავადებული შემოსავლის სახით და აისახება შემოსავლებში თანაბარი რაოდენობებით შესაბამისი აქტივის სავარაუდო სასარგებლო გამოყენების განმავლობაში. როდესაც სუბსიდია დაკავშირებულია შემოსავლებთან, იგი აისახება შემოსავლის სახით მიღების პერიოდის თანახმად.

როდესაც ჯგუფი იღებს არაფულად სუბსიდიებს, აქტივისა და სუბსიდიის ასახვა ხორციელდება ერთად მიღებული არაფულადი აქტივის სამართლიანი ღირებულების თანახმად.